



**მუნიციპალური ნარჩენების
მართვის გეგმის მომზადების
სახელმძღვანელო
დოკუმენტი**

**ნარჩენების მართვის
ტექნოლოგიები რეგიონებში
(WMTR)**

2015 წელი



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

CityLinks

ICMA
INTERNATIONAL

CENN
Caucasus Environmental NGO Network



საქართველოს გარემოსა
და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო

USAID Cooperative Agreement AID-114-LA-14-00001

მომზადებულია:

მისიის გარემოსდაცვითი ოფისისათვის
ეკონომიკური განვითარების ოფისისათვის
USAID | კავკასია

მომზადებულია:

საერთაშორიო ქალაქების/ოლქების მართვის
საერთაშორისო ასოციაცია (ICMA)
ჩრდილოეთ კაპიტოლიუმის ქუჩა N 777,
ჩრდილო-აღმოსავლეთ ვაშინგტონი, ოფისი 500
ვაშინგტონი, DC 20002-4201

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო
ორგანიზაციების ქსელის (CENN)

ბეთლემის ქუჩა N 27,
0105, თბილისი

საქართველო

და ეროვნული ექსპერტის თამარ გუგუშვილის მიერ

აღნიშნული მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო
განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალის შინაარსზე
პასუხისმგებელი არიან ICMA, CityLinks და CENN, და იგი არ
წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა
და აშშ მთავრობის აზრს.

სარჩევნი

შესავალი		6
ნარჩენების მართვის გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები		
საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის		6
მუნიციპალური ნარჩენების გეგმების შემუშავების საფუძველი		11
განსახორციელებელი ამოცანებისა და მიზნების დასახვა		13
მუნიციპალური დაგეგმვის ეფექტიანი პროცესის ფაზები		15
ნარჩენების მართვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს საფუძველი		17
ფუნქცია 1	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება	19
საქმიანობა 1.1	პასუხისმგებლობის დელეგირება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაზე	20
საქმიანობა 1.2	გეგმის შესამუშავებლად აუცილებელი რესურსების განსაზღვრა და მოზიდვა	20
საქმიანობა 1.3	შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ჩართვა პროცესში	21
საქმიანობა 1.4	ადგილობრივი დაინტერესებული პირების საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა	23
საქმიანობა 1.5	მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის ამოცანებისა და მიზნობრივი შედეგების განსაზღვრა	23
საქმიანობა 1.6	იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ ნარჩენების წარმოქმნასა და მართვაზე	26
საქმიანობა 1.7	დეტალური სამუშაო გეგმის შემუშავება შესრულების გრაფიკებითა და ძირითადი ეტაპებით	27
ფუნქცია 2	არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და შეფასება	27
საქმიანობა 2.1	მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების ნაკადების განსაზღვრა	29
საქმიანობა 2.2	ნარჩენების მართვის პროცესების, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის შეფასება	33
საქმიანობა 2.3	მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ნაკლოვანებების დადგენა და დახასიათება	36
საქმიანობა 2.4	მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების	

	სრულად განსაზღვრა	37
საქმიანობა 2.5	საოპერაციო და სისტემის განვითარებისათვის საჭირო რესურსების მოზიდვის არსებული საშუალებების შეფასება, სტანდარტული ბიუჯეტირებისა და ხარჯების ამოღების პროცესების ჩათვლით	38
საქმიანობა 2.6	საზოგადოების ცნობიერებისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი მისი დამოკიდებულების შეფასება	39
საქმიანობა 2.7	არსებული ინსტიტუტების ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობების შეფასება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისათვის	40
ფუნქცია 3	ვარიანტების შეფასება და გადანაცვლებების მიღება	40
საქმიანობა 3.1	მუნიციპალური ღონისძიებებისა და პროცესების პრიორიტეტულობის განსაზღვრა	43
საქმიანობა 3.2	არსებული ან მომავალი სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის გამოვლენა, რომლებიც გავლენას მოახდენენ მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემების ვარიანტებზე	44
საქმიანობა 3.3	ნარჩენების სამომავლო გენერაციის პროგნოზირება	44
საქმიანობა 3.4	საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და კონსულტაციების ეფექტიანი პროცესის განვითარება	45
საქმიანობა 3.5	ალტერნატიული გზების განსაზღვრა შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის	45
საქმიანობა 3.6	ძირითადი და ოპერაციული დანახარჯების შეფასება ნარჩენების მართვის ალტერნატიული ვარიანტებისათვის, მათი მოქმედების პერიოდში ფინანსური გათვლების ჩათვლით	46
საქმიანობა 3.7	სასურველი ვარიანტებისა და განხორციელების პროცესის შერჩევა	46
საქმიანობა 3.8	საინვესტიციო გეგმის შემუშავება და გეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად	47
საქმიანობა 3.9	მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღდგენის მაჩვენებლების	

	ზრდის გზების განსაზღვრა	48
საქმიანობა 3.10	რეგიონული შესაძლებლობებისა და ვარიანტების შეფასება	48
ფუნქცია 4	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება	49
საქმიანობა 4.1	რა ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი ნარჩენების მართვის გეგმის წერილობით ანგარიშში	49
საქმიანობა 4.2	გადაწყვეტილების მიმღები შესაბამისი სტრუქტურებისა და დაინტერესებული მხარეების თანხმობისა და რეგულაციებთან შესაბამისობის მოპოვება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმასთან მიმართებით	50
საქმიანობა 4.3	მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ოფიციალურად დამტკიცება	51
ფუნქცია 5	გეგმის განხორციელება	51
საქმიანობა 5.1	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დაწყება	51
საქმიანობა 5.2	საჭირო გაუმჯობესებებისა და ახალი პროგრამების განხორციელების მონიტორინგი	52
ფუნქცია 6	გეგმის შედეგების განხორციელება, მონიტორინგი და შენარჩუნება	52
საქმიანობა 6.1	ნარჩენების მართვის სისტემის მონიტორინგი შეუფერხებელი ეფექტიანი ფუნქციონირების კუთხით	53
საქმიანობა 6.2	მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის პერიოდულად განახლება საჭიროებებზე დაყრდნობით	54
დანართები		55
დანართი 1	ნარჩენების გეგმის სარჩევის ნიმუში	55
დანართი 2	დაგეგმვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ჩამონათვალის ნიმუში	59
დანართი 3	აკრონიმები/აბრევიატურები და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები	82

შესავალი

ნარჩენების მართვის გზების სახელმძღვანელო პრინციპები საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის

მრავალი წელია, მუნიციპალური ნარჩენების მართვა საქართველოში პრობლემას წარმოადგენს როგორც ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურებების არასაკმარისი ხარისხისა და დაფარვის, ისე ზემოაღნიშნულის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თვალსაზრისით. შეზღუდული შესაძლებლობებისა და ფინანსური რესურსების მქონე მუნიციპალიტეტები ვერ ახერხებენ, ნარჩენების მართვის ეფექტიანი მომსახურებები შესთავაზონ მოსახლეობას. იმ პირობებში, როდესაც დიდ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ცენტრებში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურებები გაუმჯობესებას საჭიროებს, ბევრი შედარებით პატარა ქალაქი და სოფელი ჯერ კიდევ მოკლებულია მუნიციპალური ნარჩენების ეფექტიანი მართვის სისტემას. არსებული ნაგავსაყრელების ოპტიმიზაცია და გაუმჯობესება უკვე დაწყებულია სახელმწიფოებრივ დონეზე, მაგრამ რეგიონებში ახალი სანიტარიული ნაგავსაყრელებისა და გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა და ექსპლუატაცია, ისევე, როგორც იმ ძველი ნაგავსაყრელების დახურვა და რეაბილიტაცია, რომელთა საჭიროებაც აღარ იარსებებს ახალი რეგიონული ნაგავსაყრელების მონყობის შემდეგ, მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს. ამას გარდა, ნარჩენების განთავსების სპონტანური არალეგალური ადგილები (რომლებიც მთელ საქართველოში გვხვდება) უნდა დაიხუროს, ტერიტორია კი აღდგეს. ამასთანავე, ნარჩენების რეციკლირების მასშტაბები საქართველოში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა და უმეტესწილად წარმოებს არაფორმალური სექტორის* მიერ მასალების გაყიდვით, რომლებსაც ისინი შემგროვებელი სისტემის კონტეინერებიდან და ნაგავსაყრელებიდან აგროვებენ.

დღეის მდგომარეობით, საქართველოში ნარჩენების მართვაზე (მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე) პასუხისმგებლობა ხელისუფლების სხვადასხვა დონის ორგანოებს ეკისრებათ. ნარჩენების მართვის ერთიანი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ამ მიზნით სამინისტრო ქმნის ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას, ასევე, ბიოდეგრადირებადი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიას. სამინისტრო გასცემს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას ნარჩენებთან

* სუბიექტები, რომლებიც ახდენენ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების კონტეინერებიდან ნარჩენების არაფორმალურად ამოღებასა და გადამუშავებას

დაკავშირებულ საქმიანობებზე და პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის სახელმძღვანელო ზედამხედველობაზე. სამინისტრო ასევე კურირებს სახიფათო და სხვა სპეციფიკური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები პასუხისმგებლები არიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებასა და ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე თავიანთი ადმინისტრაციული ტერიტორიების ფარგლებში. ამჟამად ნაგავსაყრელების ფუნქციონირებაზე, მათ შორის, მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელების მშენებლობაზე, მათ ფუნქციონირებასა და დახურვაზე, აგრეთვე ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და ქალაქი თბილისი, სადაც ნარჩენების შეგროვება/გატანა და ნაგავსაყრელების ფუნქციონირება ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობის სფეროში შედის.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად რეგულირებს და აკონტროლებს სამედიცინო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან ერთად არეგულირებს და აკონტროლებს აგრეთვე ცხოველური ნარჩენების მართვის საკითხებს.

ის საქმიანობები ანსამრეწველო ობიექტები, რომლებსაც პოტენციურად შეუძლიათ, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ გარემოზე, ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღებისა და სავალდებულო გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) პროცესს. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესი, სხვა ასპექტებთან ერთად, უნდა მოიცავდეს ნარჩენების მართვის საკითხებს, რაც წარმოშობს მოთხოვნას ნარჩენების ეფექტიანი მართვის, როგორც სამრეწველო ობიექტის საქმიანობაზე, ნებართვის გაცემის პირობების ერთ-ერთი კომპონენტის მიმართ. ყველა სახის სამრეწველო საქმიანობა, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების განთავსებასთან დაკავშირებასთან, არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღებას.

იმ საქმიანობების გასაუმჯობესებლად, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ნარჩენების მართვა მთელ საქართველოში, 2015 წლის 15 იანვარს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი – “ნარჩენების მართვის კოდექსი”,

რომლის მიზანია სამართლებრივი და მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ნარჩენების წარმოქმნის პრევენციასა და ხელახალ გამოყენებას, აგრეთვე ნარჩენების დამუშავებას გარემოსთვის უსაფრთხო გზით, მათ შორის – შეგროვებას, ტრანსპორტირებას, აღდგენას (რეციკლირება, კომპოსტირება და ა.შ.) და განთავსებას. კანონის ამოცანაა: 1) ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა ნარჩენების წარმოქმნისა და მისი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის ან შემცირების გზით; 2) ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა; და 3) იმ რესურსების ეფექტიანი მოხმარების წახალისება, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს მუნიციპალური ნარჩენების უკეთ მართვის შედეგად.

ამ კანონის მეშვეობით საქართველოს მთავრობა ისწრაფვის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გააუმჯობესოს ნარჩენების მართვის პრაქტიკა მაღალი საპროექტო და საოპერაციო სტანდარტების დანერგვით, ანუ სტანდარტებისა, რომლებიც მიღებულია ევროკავშირის ქვეყნებში. ამ ამოცანის განხორციელების მხარდამჭერი ფაქტია ის, რომ საქართველომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით (რომელსაც 2014 წლის ივნისში მოეწერა ხელი) იკისრა ვალდებულება, ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციაში მოიყვანოს ქვეყანაში მოქმედი ნარჩენების მართვის პრაქტიკა.

ახალი კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიგვიყვანს ნარჩენების მართვის ახალ ინიციატივებამდე, რომელთა მიზანი იქნება: 1) მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ფორმალური სერვისების ოპტიმიზაცია და გაფართოება; 2) ახალი ნაგავსაყრელების დაპროექტება და მშენებლობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; და 3) ნარჩენების აღდგენის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება რეციკლირებისა და კომპოსტირების ფორმალური მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. აღნიშნული გაუმჯობესების პროცესის მიზნის მხარდასაჭერად საქართველოში კანონი – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – განსაზღვრავს, რომ ადგილობრივმა თვითმმართველობებმა (რომლებიც პასუხისმგებელი არიან და მომავალშიც პასუხისმგებელი დარჩებიან მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებაზე) უნდა შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოველმომცველი გეგმები, რომლებიც გამიზნული უნდა იყოს მუნიციპალიტეტების ფუნქციების გაუმჯობესებაზე ნარჩენების მართვის სფეროში. აღნიშნული ნარჩენების მართვის გეგმა უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების მართვის იერარქიასა და “ნარჩენების მართვის კოდექსის” მე-5 მუხლით გათვალისწინებულ პრინციპებს. ამ კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მიხედვით, ასეთი გეგმები უნდა მოიცავდეს 5–წლიან პერიოდს და უნდა შეესაბამებოდეს ამჟამად შემუშავების პროცესში მყოფ ნარჩენების მართვის ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას. აღნიშნული მუნიციპალური გეგმები უნდა თანხვდებოდეს აგრეთვე ნარჩენების მართვის სხვა სახელმწიფოებრივ ინიციატივებს ნარჩენების კონკრეტული ნაკადების

მიმართ, მათ შორის, სულ მცირე, მდგრადი ორგანული დამბინძურებლების, ვერცხლისწყლის, სამედიცინო და ცხოველური წარმოშობის ნარჩენების და აზბესტის მიმართ.

კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ეფექტიანი სისტემის დანერგვა თავიანთ ადმინისტრაციულ საზღვრებში, აგრეთვე ნარჩენების გამოცალკევებულად შეგროვების სისტემების ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება, რაც ხელს შეუწყობს ალდგენის პროცესებს. კანონი განსაზღვრავს ნარჩენების შეგროვების ზოგად პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც ნარჩენების შეგროვება, ტრანსპორტირება და დამუშავება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ არ შეიქმნას სირთულეები მათი შემდგომი ალდგენის მხრივ. ამასთანავე, კანონი მოითხოვს, რომ მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდეს, ტრანსპორტირებულ იქნეს და დამუშავდეს იმ წესით, რომელიც მაქსიმალურად შესაძლო დონით გამორიცხავს გარემოს დაბინძურებასა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენების რისკს. ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული უფრო კონკრეტული მოთხოვნები განისაზღვრება მთავრობის დადგენილებით „მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის შესახებ“, რომელიც, კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მიხედვით, 2016 წლის 01 თებერვლამდე უნდა შემუშავდეს.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” კრძალავს ნარჩენების ყოველგვარ უკანონო განთავსებას, ანუ განთავსებას ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერებისა და ნარჩენების შესაგროვებელი პუნქტების გარეთ. ამ მოთხოვნის შესასრულებლად მუნიციპალიტეტები უფლებამოსილი არიან, მოსთხოვონ დამნაგვიანებელ პირებს ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო თუ ასეთი პირების იდენტიფიცირება შეუძლებელია, მაშინ დანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავების ვალდებულება დაეკისრება თავად ტერიტორიის მესაკუთრეს. თუ ტერიტორია ეკუთვნის მუნიციპალიტეტს, მაშინ ნარჩენებისაგან მის გასუფთავებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი” ასევე ითვალისწინებს, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებში განსაზღვრული იყოს საშუალებები, რომელთა საშუალებითაც მნიშვნელოვნად გაიზრდება ნარჩენების რეციკლირებისა და ალდგენის დონე მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული ფორმალური მუნიციპალური პროგრამების მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს ნარჩენების ალდგენის პროცესის ხარჯეფექტიანობისაკენ მიმართულ რეგიონულ ინიციატივებს (კანონით ვალისწინებს, რომ ერთმანეთის მემობელმა მუნიციპალიტეტებმა შეიძლება შექმნან მუნიციპალური ნარჩენების მართვის ერთიანი სისტემები და შეიმუშაონ მუნიციპალური ნარჩენების ერთობლივი მართვის გეგმა (თუ მისი შესრულება უზრუნველყოფილი იქნება).

კონკრეტულად, კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მე-13 მუხლი განსაზღვრავს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის როგორც შინაარსს, ისე მინიმალურ ამოცანებს (იხ. ქვემოთ, გრაფაში წარმოდგენილი ტექსტი კანონით განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნების შესახებ). ნარჩენების მართვის ეროვნული სტრატეგია და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (რომელიც 2015 წლის 31 დეკემბრამდე უნდა შემუშავდეს) პრიორიტეტული მიმდევრობით დაადგენს კანონით განსაზღვრულ ამოცანებს და მოკლედ, საშუალო და გრძელვადიან განსახორციელებელ ღონისძიებებს. სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი და სასწრაფო ღონისძიებები შეეხებანარჩენების შეგროვებისა და განთავსების პროცესების გაუმჯობესებას, გრძელვადიანი კი – ნარჩენების მინიმზაციას, შემცირებასა და მათი აღდგენის პროცესებს.

მუხლი 13. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა

1. თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა მიიღოს საკუთარ ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5–წლიანი გეგმა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა, შესაძლოა, შემუშავდეს მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივად.
2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ნარჩენების მართვის ეროვნულ გეგმასა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრულ სხვა გეგმებს.
3. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიღებამდე უნდა გაიმართოს საჯარო განხილვები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დაინტერესებული პირები და მოსაზღვრე მუნიციპალიტეტები. საჯარო განხილვები უნდა მოაწყოს შესაბამისმა მუნიციპალიტეტ(ებ)მა.
4. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს:
 - ა) ინფორმაციას მოსახლეობისგან ნარჩენების შეგროვების არსებული სისტემის შესახებ;
 - ბ) მონაცემებს შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული არასახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
 - გ) მონაცემებს მოსახლეობისგან შეგროვებული, აღდგენილი და განთავსებული სახიფათო ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შესახებ;
 - დ) ნარჩენების დამუშავების სანარმოების ადგილმდებარეობას;
 - ე) ინფორმაციას მუნიციპალური ნარჩენების, მათ შორის – ბიოდეგრადირებადი ნარჩენებისა და შეფუთვის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და აღდგენის სისტემის დანერგვის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;
 - ვ) ნარჩენების დამუშავების ახალი ობიექტების მშენებლობის გეგმებს;
 - ზ) ნარჩენების მართვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროგრამებს;
 - თ) ნარჩენების მართვის სფეროში სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის არსებულ და დაგეგმილ ღონისძიებებს;
 - ი) გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების გზებსა და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს, სავარაუდო ხარჯებსა და დაფინანსების წყაროებს; წყარო: საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი.”

მუნიციპალური ნარჩენების გაგმის შემუშავების საფუძველი

განმარტების თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა არის დოკუმენტი ან მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული ჩარჩო, რომელიც ადგენს წესს, რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტი განახორციელებს ნარჩენების მართვის ვალდებულებებს. ნარჩენების ეფექტიანი მართვის გეგმის (ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე) შემუშავების პროცესი უნდა მოიცავდეს ნარჩენების მართვის ფუნქციების ყველაასპექტს, დაწყებული პოლიტიკის შემუშავებიდან და ინსტიტუციური განვითარებიდან, დამთავრებული ახალი ან განახლებული პროცესებისა და ობიექტების ტექნიკური პროექტის შექმნითა და განხორციელებით. ეფექტიანი დეტალური სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები უნდა შემუშავდეს ეროვნული და ადგილობრივი მთავრობებისათვის, რომლებიც, კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – თანახმად, არიან პასუხისმგებელი ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე. შედეგად, ნარჩენების მართვის ეროვნული და ადგილობრივი გეგმებისა და სტრატეგიების ერთობლიობას, რომელიც მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში შეიქმნება, არსებითი მნიშვნელობა ექნება “ნარჩენების მართვის კოდექსით” დასახული მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გულისხმობს ნარჩენების მართვისა და ხარჯეფექტიანი დაგარემოს მიმართ უსაფრთხო სისტემის შექმნას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამ კორელაციის მისაღწევად დაგეგმვისა და განვითარების ადგილობრივ დონეებზე განსახორციელებელი საქმიანობები ნარჩენების მართვის სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა თანმხვედრი უნდა იყოს და უნდა შემუშავდეს “ნარჩენების მართვის კოდექსის” შესაბამისად. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგინდება მუნიციპალური ნარჩენების ნაგავსაყრელების საპროექტო, საოპერაციო, დახურვისა და რეაბილიტაციის მოთხოვნები, მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესები, სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები, ნარჩენების კლასიფიცირების პროცესები, ნარჩენებთან დაკავშირებული საქმიანობების მონიტორინგი, ანგარიშგება, აგრეთვე “ნარჩენების მართვის კოდექსით” განსაზღვრული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფისათვის საჭირო აქტივობები.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის წარმატებული გეგმის შედეგები, გაუმჯობესების სტრატეგია და სამოქმედო ელემენტები უფრო ოპტიმალურს გახდის მუნიციპალიტეტების როლს ნარჩენების მართვის ეროვნულ ინტეგრირებულ სისტემაში. ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად აღნიშნული ეროვნული სისტემა უნდა მოიცავდეს შემდეგ პირობით ფუნქციურ პროცესებსა და ინფრასტრუქტურებს:

- ნარჩენების შეგროვების სისტემებს (შერეული ნარჩენებისა და საბოლოოდ, წყაროსთან დახარისხებული მასალებისათვის);
- სატრანსპორტო სისტემებს (შეგროვების პუნქტებიდან გადამტვირთავ სადგურებამდე, გადამამუშავებელ საწარმოებამდე ან ნაგავსაყრელებამდე);
- გადამტვირთავ სადგურებს (ნარჩენების შეგროვების სისტემის ეფექტიანი ოპტიმიზაციისა და ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების შემცირებისათვის);
- ნარჩენების მექანიკური გადამამუშავების ობიექტებს (ნარჩენების რეციკლირებისა და კომპოსტირების მიზნით);
- ნარჩენების დამამუშავების ობიექტებს (თერმული, ფიზიკური ან ბიოლოგიური პროცესები მოცულობის შემცირების ან რესურსების აღდგენის მიზნით);
- ნაგავსაყრელებს (მუნიციპალური ნარჩენების იმ ფრაქციების საბოლოო განთავსებისათვის, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარება).

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები, რომლებიც ამ სახელმძღვანელო დოკუმენტის საგანს წარმოადგენს, ხელს შეუწყობენ ინფორმაციის მოპოვებას, რაც დაგვეხმარება ზემოაღნიშნული ამოცანების განხორციელების საუკეთესო ვარიანტების განსაზღვრაში, და რაც, “ნარჩენების მართვის კოდექსის” თანახმად, მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობების სფეროს განეკუთვნება.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ნარჩენების მართვის არსებული სიტუაცია მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს, რაც, სავარაუდოდ, დიდ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, რათა შესრულდეს საქართველოს “ნარჩენების მართვის კოდექსით” გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოში ნარჩენების მართვის მოქმედი სტანდარტების შესაბამისობას ევროკავშირის სტანდარტებთან. საქართველოში არსებული კონკრეტული პირობების საფუძველზე მოხდება ამ მიზნების მისაღწევად საჭირო ალტერნატიული მეთოდების საწყისი ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების დადგენა, კერძოდ, იმ მეთოდებისა, რომლებიც ნარჩენების გადამამუშავებასა და გაუვნებლებას უკავშირდებიან. საქართველოში, მუნიციპალიტეტები, პირველ რიგში, იმ საჭიროებების წინაშე დგანან, რომ უზრუნველყონ ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების მომსახურებების ეფექტიანობა. გადამამუშავებისა და გაუვნებლების მონიწივე ტექნოლოგიები, მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ტექნოლოგიების მსგავსი, საქართველოშიც შეიძლება დაინერგოს, მაგრამ, ქვეყნის შებენიერი ეკონომიკური რესურსების გამო, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მასშემდეგ, როდესაც მოხდება ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განთავსების სერვისების ოპტიმიზაცია (ამჟამად ნაგავსაყრელის შესახებ ევროკავშირის მოქმედი დირექტივა კრძალავს ნაგავსაყრელებზე მუნიციპალური ნარჩენების (რეციკლირებადი, ორგანული და ა.შ.) მნიშვნელოვანი ნაწილის განთავსებას.

ეს მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორია ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ნარჩენების გადამუშავების მონინავე სისტემების დანერგვისათვის).

საქართველოში ნარჩენების მართვის კუთხით მიღწეული წარმატებები მისაღები უნდა იყოს ქვეყნის მოსახლეობის, ბიზნესისა და ხელისუფლებისათვის, თუკი ნარჩენების მართვის გეგმების შედეგები ეფექტიანი და მდგრადი იქნება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნარჩენების მართვის ეროვნული სისტემის ყველა ფუნქცია არ არის მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობის საგანი. მთელი საქართველოს მასშტაბით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის გამოკლებით) რეგიონული ნაგავსაყრელების მოწყობაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო კომპანია – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“. (რამდენადაც ნაგავსაყრელების მოწყობა არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტების უშუალო ვალდებულებას, ასეთი რეგიონული ნაგავსაყრელები, სავარაუდოდ, გავლენას იქონიებენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმებზე, რადგან, ახალი ნაგავსაყრელების განთავსების ადგილებმა თითოეულ რეგიონში, შესაძლოა, გეგავლენა მოახდინონ, ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მუნიციპალური სისტემების ფუნქციებზე. ამას გარდა, რეგიონულ ნაგავსაყრელებს შეიძლება ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდეთ, თუკი ნარჩენების განთავსების მოსაკრებლის გადახდა და ეკისრებათ მუნიციპალიტეტებს იმისდა მიხედვით, თუ რა რაოდენობის მუნიციპალური ნარჩენი იქნება მიტანილი ნაგავსაყრელებზე). “ნარჩენების მართვის კოდექსის” თანახმად, მუნიციპალიტეტებს უნარჩუნდებათ ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებისა და აღდგენის პროგრამების განხორციელების ვალდებულებები. ამის გამო, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები გამომწვეულია მუნიციპალიტეტების დასახმარებლად მათი ვალდებულებების შესრულებაში.

განსახორციელებელი ამოცანებისა და მიზნების დასახვა

ნარჩენების მართვის ეფექტიანი გეგმა განსაზღვრავს ნარჩენების მართვის სხვადასხვა ფუნქციაზე პასუხისმგებელი მხარეების მიზნებსა და ამოცანებს. ეს შეიძლება მოიცავდეს ეროვნული და მუნიციპალური სახელისუფლებო ორგანოების მიერ შემუშავებულ გეგმებს, აგრეთვე, ნარჩენების წარმომქმნელი სამრეწველო ობიექტების მიერ შემუშავებულ ნარჩენების მართვის გეგმებს. საქართველოსათვის გათვალისწინებული ნარჩენების მართვის ეროვნული ინტეგრირებული სისტემა, კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მიხედვით, მოითხოვს მხარდამჭერ და კოოპერაციულ ურთიერთობებს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის. მმართველობის ადგილობრივ დონეებზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმები მიმართული უნდა იყოს რიგი მნიშვნელოვანი ამოცანების გადანყვეტისაკენ. მათ შორისაა:

- საკანონმდებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება “ნარჩენების მართვის კოდექსით” გათვალისწინებული ეფექტიანი ადგილობრივი პროგრამების, პროცესებისა და ობიექტების შექმნის თვალსაზრისით;
- მუნიციპალიტეტებში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ხარჯებისა და რისკების მინიმიზაცია;
- გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგების მინიმიზაცია, რომლებიც, შესაძლოა, ნარმოიშვას ნარჩენების შეგროვების არსებული არაეფექტიანი სისტემის, ნაგავსაყრელების შეუსაბამო ადგილებზე განთავსებისა და ნარჩენების განთავსების არაეფექტიანი საშუალებების გამო;
- ნარჩენების შეგროვების სერვისის არეალის გაფართოება, რომელმაც მუნიციპალიტეტის მთელი მოსახლეობა უნდა მოიცვას; და
- ეკონომიკური სარგებლის მიღება, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს ნარჩენების იმ კომპონენტების აღდგენას, რომლებსაც გარკვეული ღირებულება ექნებათ კომპოსტირებისა და რეციკლირების ინიციატივების განხორციელებით.

ამ ამოცანების გადასაჭრელად მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული მუნიციპალური ნარჩენების დაგეგმვის პროცესი უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაბამის ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის დღევანდელ მოქმედ სისტემაზე, და ასევე უნდა ითვალისწინებდეს განახლებული მუნიციპალური სისტემის დანერგვისა და ხანგრძლივი და საიმედო ფუნქციონირების საკითხებს. ეს მოიცავს ყველა შესაბამის ინსტიტუციურ, სოციალურ, ფინანსურ, ეკონომიკურ, ტექნიკურ და გარემოსდაცვით ფაქტორს, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა განახორციელოს მუნიციპალიტეტმა შემდეგი საქმიანობები:

- ნარჩენების მართვის არსებული სისტემისა და მისი ყველა ფიზიკური, საოპერაციო და ეკონომიკური ელემენტის დადგენა და ცოდნა;
- არსებული სისტემის ყველა ნაკლოვანების გამოვლენა და უზრუნველყოფა, რომ მიღწეულ იქნეს “ნარჩენების მართვის კოდექსის” მოთხოვნათა შესაბამისი ეფექტიანი მომსახურების დონეები;
- ალტერნატიული მიდგომებისა და ვარიანტების იდენტიფიცირება, რომლებმაც შეიძლება გააუმჯობესონ არსებული მუნიციპალური სისტემა, აღმოფხვრან გამოვლენილი ნაკლოვანებები და გააფართოონ ნარჩენების შეგროვების მომსახურებების ფარგლები და ხარისხი;
- ძირითადი დაინტერესებული პირების დღევანდელი როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა და შეფასება, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული, მეცხვალოს, ან გაუმჯობესდეს მათი როლები მომავალში, მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვით;
- იმ აუცილებელი საქმიანობების პრიორიტეტული ამოცანებისა და მისაღწევი მიზნების განსაზღვრა, რომლებიც მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს მუნიციპალური

- ნარჩენების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, მათ შორის, აღდგენის პროგრამების აუცილებელი შემუშავებით, რაზედაც ხაზგასმითაა აღნიშნული კანონში “ნარჩენების მართვის კოდექსი”;
- ეკონომიკური და ტექნიკური რესურსების იდენტიფიცირება და მოზიდვა, რომლებიც აუცილებელია დაგეგმვის პროცესების გრძელვადიანი და სასურველი შედეგების მისაღწევად;
- საქმიანობების განხორციელებისათვის საჭირო ბიუჯეტის განსაზღვრა და რეალისტური სამუშაოგრაფიკების შედგენა, რათამიღწეულ იქნეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული სასურველი შედეგები და უზრუნველყოფილ იქნეს ეროვნული მარეგულირებელი მოთხოვნები;
- საშუალებებისა და კრიტერიუმების განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქნეს დაწყებული და დასრულებული გეგმა მისი შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, და ამგვარი შედეგების მისაღწევად განეული სამუშაოების შეფასება;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის განახლებული სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგის საშუალებების განსაზღვრა გეგმით რეკომენდებული საქმიანობების განხორციელების შემდეგ, სისტემის ხანგრძლივი და ეფექტიანი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით;
- მონიტორინგის ფარგლების განსაზღვრა მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ფუნქციონირების პერიოდული განხილვებისა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის რეგულარული განახლების მიზნით.

მუნიციპალური დაგეგმვის ეფექტიანი პროცესის ფაზები

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის დაგეგმვისა და განხორციელების რეკომენდებული პროცესი შეიძლება ეფეს ფაზად დაიყოს, რომლებიც წარმოადგენენ სავარაუდო ეფექციებსა და საქმიანობებს, რომლებიც მუნიციპალიტეტმა უნდა შეასრულოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისას:

- დაგეგმვის მოსამზადებელი ფაზა: ეს არის დაგეგმვის საწყისი ეტაპი, რომლის მიზანს წარმოადგენს დაგეგმვის ყველა საქმიანობისათვის საჭირო რესურსების მოძიება და მობილიზაცია;
- არსებული პირობების მდგომარეობის გაცნობის ფაზა: ეს არის დაგეგმვის ეფექტუა, რომლის მიზანია არსებული საწყისი პირობების განსაზღვრა მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედი სისტემისა და ყველა იმ ეტაპისა და ნაკლოვანების შეფასების გზით, რომლებიც გავლენას ახდენენ სისტემის ფუნქციონირებაზე;
- ალტერნატივების შეფასების ფაზა: მუნიციპალური ნარჩენების

მართვის არსებული სისტემის მდგომარეობის საფუძვლიანი და ზუსტი შეფასების შემდეგ მისი ნაკლოვანებების დასაძლევად და კანონით – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა, განისაზღვროს საიმედო ალტერნატივები (ტექნიკური, ინსტიტუციური, ფინანსური და ა.შ.), რათა დადგინდეს, თუ რომელი მათგანია უფრო მისაღები სისტემის სხვადასხვა ელემენტისათვის და რომელი მათგანი უფრო კარგად უპასუხებს მუნიციპალიტეტის ინტერესებს. ალტერნატივების შეფასების ეს ფაზა ქმნის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის საფუძველს, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება დაგეგმილი სისტემის გაუმჯობესების მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელების სტრატეგიაში;

- გეგმის დამტკიცების ფაზა: მუნიციპალიტეტში არსებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის შეფასებისა და მისი ნაკლოვანებების დაძლევის საიმედო ალტერნატივების განსაზღვრის, შეფასებისა და შერჩევის შემდეგ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა და მისი განხორციელების სტრატეგია ოფიციალურად მიიღება მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ და მტკიცდება შესაბამისი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლების მიერ, რაც იმის მაჩვენებელი იქნება, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა და მასში წარმოდგენილი რეკომენდაციები უპასუხებენ “ნარჩენების მართვის კოდექსის” მოთხოვნებს.
- განხორციელების ფაზა: მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ფორმალური მიღების შემდეგ დგება გეგმით განსაზღვრული მიზნობრივი ამოცანების განხორციელების ეტაპი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პოლიტიკის, ფინანსურ-ეკონომიკური, ინსტიტუციური და ტექნიკური საშუალებების შემუშავებას მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების, აგრეთვე გეგმით დასახული შედეგების მისაღწევად აუცილებელი ფიზიკური პროცესების განხორციელების მიზნით.
- მონიტორინგისა და განხილვების ფაზა: გეგმით გათვალისწინებული ყველა ან ზოგიერთი შედეგის მიღწევის შემდეგ დგება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის (ან მისი ცალკეული კომპონენტების) საფუძვლიანი მონიტორინგის საჭიროება, რათა დავრწმუნდეთ, რომ გეგმით მიღწეული შედეგები მდგრადიდაა ასეთივე დარჩება მომავალშიც. ამას გარდა, მუნიციპალიტეტმა უნდა გააცნობიეროს, რომ წარმატებული დაგეგმვის პროცესი არის დინამიკური და განგრძობადი და მოითხოვს პერიოდულ განხილვებს გეგმის განახლებისათვის ახლად წარმოშობილი გარემოებების შესაბამისად, და იმის შეფასებას თუ, რა და როგორ განხორციელდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის თავდაპირველი მიღების შემდგომ პერიოდში (“ნარჩენების მართვის კოდექსის” თანახმად, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში უნდა შემუშავდეს 5–წლიანი დაგეგმილი პერიოდისათვის. ეს კი წარმოშობს საჭიროებას, რომ ხუთი წლის შემდეგ შემოწმდეს მუნიციპალიტეტის მიერ განეული სამუშაოს შედეგები, გეგმა კი განახლდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამომავლო მიზნებისა და “ნარჩენების მართვის კოდექსის” გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად).

ნარჩენების მართვის დაგეგმვის სახელმძღვანელოს საფუძველი

აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია, დაეხმაროს საქართველოს მუნიციპალიტეტებს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების, აგრეთვე ვანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებაში. სახელმძღვანელო წარმოადგენს მნიშვნელოვანი ამოცანების ორგანიზებულ სტრუქტურასა და აღწერას, რომლებიც თითოეულმა მუნიციპალიტეტმა უნდა შესრულოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. ნახ. 1–ზე წარმოდგენილია დაგეგმვის ზემოაღწერილი ფაზები (ან ფუნქციები), ასევე რეკომენდებული საქმიანობებისა და ამოცანების ჩამონათვალი, რომლებიც მუნიციპალიტეტმა უნდა განახორციელოს ექვსივე ძირითადი ფუნქციისათვის. ამ საქმიანობების მიზანია, დაეხმაროს საქართველოს მუნიციპალიტეტებს მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც შედის მუნიციპალიტეტების ინტერესებში, და მიიღონ პასუხები ნარჩენების მართვის კონკრეტულ სიტუაციებთან დაკავშირებულ შემდეგ ძირითად კითხვებზე:

- რა ნაკლოვანებები აქვს ამჟამად მოქმედ მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემას და როგორ არის შესაძლებელი ამ ნაკლოვანებების შემსუბუქება?
- რა პრიორიტეტები აქვს მუნიციპალიტეტს მუნიციპალური ნარჩენების მართვის პროგრამის ეფექტიანობის ასამაღლებლად?
- რომელი მასალების გადამუშავება ან კომპოსტირებაა შესაძლებელი ხარჯ-ეფექტიანად მასალებისა და პოტენციური ბაზრების ხელმისაწვდომობის პირობებში?
- აღდგენადი მასალების შეგროვების რომელი სისტემაა საუკეთესო მუნიციპალიტეტისათვის?
- რა გავლენას ახდენს არაფორმალური სექტორი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებზე მასალების აღდგენის მდგრადი პროგრამის შემუშავების თვალსაზრისით?
- რა ზემოქმედებას იქონიებენ შეთავაზებული ნაგავსაყრელები მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების სისტემების ფუნქციებსა და ხარჯებზე, და ქმნის თუ არა ამგვარი ზემოქმედება გადამტვირთავი სადგურების შექმნის საჭიროებას?
- თუ დადგება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების საჭიროება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების ოპტიმიზაციისათვის, ვინ იქნება პასუხისმგებელი ამგვარი სადგურების შექმნასა და ოპერირებაზე?
- რა იქნება გაუმჯობესებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის (და მისი ცალკეული კომპონენტების) ღირებულება, რა გზებით იქნება მოზიდული სისტემის შექმნის, ოპერირებისა და მდგრად საექსპლუატაციო მდგომარეობაში შენარჩუნებისათვის საჭირო თანხები?
- რა ტექნიკური და მენეჯერული რესურსები ესაჭიროება მუნიციპალიტეტს გეგმის განხორციელებისა და მდგრადი შედეგების მისაღწევად და როგორი

- ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობების ადამიანური რესურსები აქვს ამჟამად მუნიციპალიტეტს?
- როგორ უნდა მოხდეს ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ჩართვა, რათა მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ დაგეგმვის პროცესში და, შესაბამისად, საკუთრების განცდა ჩამოუყალიბდეთ დაგეგმვის შედეგებთან მიმართებით?
- როგორ უნდა მოხდეს ხარჯების ამოღება და ოპტიმიზაცია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს დაგეგმვის შედეგების მდგრადობის შენარჩუნება?
- ხარჯების ამოღების რა განაკვეთი იქნება გონივრულად მიზანშეწონილი, რომელსაც, სავარაუდოდ, გადაიხდიან საყოფაცხოვრებო და სხვა მუნიციპალური კომერციული ნარჩენების წარმომქმნელი პირები და ორგანიზაციები/კომერციული დაწესებულებები ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის ფარგლებში?

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესი

დაგეგმვის ფუნქცია	დაგეგმვის საქმიანობები
<p>მომზადება გეგმის შემუშავებისათვის დაგეგმვის ფუნქცია</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. პასუხისმგებლობების დელეგირება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესამუშავებლად 2. გეგმის შემუშავებისათვის საჭირო რესურსების გამოკვეთა და უზრუნველყოფა 3. შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პროცესში ჩართვა სანყისი ეტაპიდანვე 4. ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფის ჩამოყალიბება 5. მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესის მიზნებისა და სამიზნე შედეგების განსაზღვრა 6. მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნასა და მართვაზე ზეგავლენის მქონე ფაქტორების განსაზღვრა 7. დეტალური სამუშაო გეგმის შემუშავება ვადებისა და ძირითადი ეტაპების მითითებით
<p>არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და შეფასება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ნარჩენების იმ ნაკადების განსაზღვრა, რომელთა მართვა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ 2. ნარჩენების მართვის არსებული სერვისებისა და ობიექტების იდენტიფიცირება და შეფასება 3. ნარჩენების მართვის არსებული სერვისის ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და დახასიათება 4. მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მთლიანი ხარჯის განსაზღვრა 5. არსებული რესურსების შეფასება ოპერაციული და განვითარებისათვის საჭირო ხარჯების დასაფარად, მათ შორის – საბიუჯეტის შემუშავებისა და თანხების ამოღების ჩათვლით 6. ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერებისა და დამოკიდებულების შესწავლა 7. ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვის კუთხით არსებული ინსტიტუტების ტექნიკური და მართვის შესაძლებლობების შეფასება

<p>ალტერნატივების შეფასება და გადაწყვეტილების მიღება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. პრიორიტეტების განსაზღვრა მუნიციპალიტეტის საქმიანობებისა და პროცესებისათვის 2. არსებული ან დაგეგმილი ეროვნული და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის განსაზღვრა, რომელიც გავლენას მოახდენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის მიდგომაზე 3. მომავალში ნარჩენების გენერირების პროგნოზირება 4. საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების განათლებისა და კონსულტაციის ეფექტიანი გეგმის შემუშავება 5. ნარჩენების შეგროვების სერვისის დაფარვის არეალისა და ეფექტიანობის გაზრდის ალტერნატიული გზების განსაზღვრა 6. მუნიციპალური ნარჩენების მართვის ალტერნატივების CAPEX და OPEX ხარჯების შეფასება 7. სასურველი ვარიანტებისა და განხორციელების პროცესის შერჩევა 8. შერჩეული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის გაუმჯობესებისათვის საჭირო საინვესტიციო გეგმის შემუშავება 9. მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამუშავებისა და აღდგენის გაზრდის გზების / საშუალებების განსაზღვრა 10. რეგიონული შესაძლებლობებისა და ვარიანტების შეფასება
<p>გეგმის შემუშავება და მიღება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. იმ ინფორმაციის განსაზღვრა, რაც უნდა შევიდეს მუნიციპალური არჩენების მართვის გეგმის დოკუმენტში 2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის თანხვედრის უზრუნველყოფა პოლიტიკის, მარეგულირებელი და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან /საჭიროებებთან 3. მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ფორმალური მიღება
<p>გეგმის განხორციელება</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული სერვისებისა და ტექნიკური საკითხების განხორციელების დაწყება 2. ახალი პროგრამებისა და საჭირო გაუმჯობესებების განხორციელების მონიტორინგი
<p>გეგმის შედეგების ფუნქციის მონიტორინგი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის განხორციელების მონიტორინგი მისი გრძელვადიანი ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით 2. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის პერიოდული განახლება განვითარებული მოვლენების გათვალისწინებით

ფუნქცია 1 – მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დაგეგმვითი ინიციატივების შემთხვევაში, თავდაპირველად უნდა განისაზღვროს სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი, რომლითაც უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საკმარისი ტექნიკური და ფინანსური რესურსების მობილიზება დაგეგმვისა და შეფასებისამოცანებით მოთხოვნილი ყველა საქმიანობის განსახორციელებლად. დაგეგმვისათვის მომზადება ასევე მოიცავს პირველადი გადაწყვეტილებების მიღებას იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობას დაგეგმვის პროცესში. დაგეგმვის მომზადების ფუნქცია, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შემდეგ საქმიანობებს:

საქმიანობა 1.1 – პასუხისმგებლობის დელეგირება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაზე

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებლობა უნდა გადაეცეს მუნიციპალიტეტის კონკრეტულ განყოფილებას/სტრუქტურას (და ასეთი განყოფილების/სტრუქტურის კონკრეტულ თანამშრომელს, რომელიც დაინიშნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროექტის მენეჯერად). დაგეგმვის პროცესის მენეჯერი მუნიციპალიტეტის სახელით პასუხისმგებელი იქნება აუცილებელი საქმიანობების კოორდინაციაზე. ეს მოვალეობა უნდა მოიცავდეს შესაძლო კოორდინაციას სხვა მუნიციპალიტეტებთან, პოტენციურ რეგიონულ ინიციატივებთან დაკავშირებულ საკითხებში, აგრეთვე კოორდინაციას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, რათა დაგეგმვის პროცესი და მისი მიზნობრივი შედეგები შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მოთხოვნებთან. დაგეგმვის პროცესის მენეჯერი უფლებამოსილი უნდა იყოს, რომ კოორდინაცია გაუწიოს პროცესის ყველა მონაწილის საქმიანობას, მათ შორის – სხვა მუნიციპალურ სააგენტოებსა და მათ თანამშრომლებს, არჩევითი თანამდებობის პირებს, დაინტერესებულ პირთა საკონსულტაციო ჯგუფსა და პროცესში ჩართულ სხვა ექსპერტებს (კონსულტანტებს და ა.შ.)

საქმიანობა 1.2 – გეგმის შესამუშავებლად აუცილებელი რესურსების განსაზღვრა და მოზიდვა

ყველა დაგეგმილი საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის საჭირო იქნება მუნიციპალიტეტების ფინანსური და ტექნიკური რესურსების მოზიდვა. სავარაუდოდ, ეს საქმიანობა მოიცავს საკმარისი რაოდენობის მუნიციპალური რესურსების გამოყოფასა და შესაბამისი ბიუჯეტის შექმნას დაგეგმვის პროცესისათვის (ანდახმარების მოზიდვას გარე წყაროებიდან, მაგალითად, დონორი სააგენტოებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და ა.შ.), ზოგიერთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტებმა შეიძლება მოიძიონ გარეშე ტექნიკური დახმარება (კონსულტანტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.), რათა დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფილი იყოს სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით, რაც შეიძლება საჭირო იყოს უფრო კომპლექსური დაგეგმვის მისაღწევად. მაგალითად, გარეშე წყაროებიდან ტექნიკური დახმარების მიღება, შესაძლოა, საჭირო გახდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ალტერნატიული ვარიანტებისა და მიდგომების იდენტიფიცირებისა და ადგილობრივ პირობებში მათი საიმედოობის უზრუნველსაყოფად, რადგან მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს შეიძლება არ ჰქონდეთ საკმარისი ცოდნა ან გამოცდილება ზოგიერთი ასეთი ალტერნატივის შესახებ, კერძოდ, როდესაც საქმე ეხება ალდგენის მუნიციპალური პროგრამის შემუშავებას. სათანადო გამოცდილების მქონე კონსულტანტები და სხვა გარეშე დამხმარეები, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, შეიძლება დაგეგმვის პროცესის

აქტიურ მონაწილედ მივიჩნით, როგორც ტექნიკური რესურსი დაგეგმვის მთელი პროცესისათვის ან მისი მართვისათვისაც კი, რაც საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში. გარეშე წყაროებიდან ტექნიკური დახმარება ასევე შეიძლება საჭირო გახდეს დაგეგმვის პროცესში სპეციფიკური ექსპერტული ცოდნის უზრუნველსაყოფად, მაგ., ისეთი საქმიანობების შესახებ, როგორცაა ნარჩენების მახასიათებლების გამოკვლევა ან ეფექტიანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის პროგრამის შემუშავება.

საქმიანობა 1.3 – შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და ჩართვა პროცესში

მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის ეფექტიანი პროცესის შექმნა მოითხოვს საზოგადოებისა და სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების აქტიურ მონაწილეობას. ამიტომ დაგეგმვის მოსამზადებელი პროცესის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებისა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების აქტიური და მუდმივი მონაწილეობის უზრუნველყოფა დაგეგმვის მოსამზადებელ პროცესში, რადგან მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ როგორც დაგეგმვის პროცესზე, ისე მის განხორციელებასა და შედეგების მხარდაჭერაზე.

ზოგადად, დაინტერესებული მხარე არის პირი, ჯგუფი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი აქვს საქმიანობის ან პროექტის მიმართ, ან შეუძლია, დადებითი ან უარყოფითი გემოქმედება მოახდინოს საქმიანობაზე ან პროექტზე. ნარჩენების მართვის პოტენციური დაინტერესებული პირების ჩამონათვალი შეიძლება განსხვავებული იყოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტისათვის და, აქედან გამომდინარე, საჭიროებს ინდივიდუალურ განსაზღვრას თითოეული მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის ინიციატივების შემუშავებისას. საქართველოს მუნიციპალიტეტებში პოტენციური დაინტერესებული პირების სია შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

1. დაწესებულებები დაკომპანიები, რომლებსაც ამჟამად გარკვეული ფუნქციური პასუხისმგებლობები ეკისრებათ ნარჩენების მართვის სისტემის სხვადასხვა ასპექტებზე შესაბამის მუნიციპალიტეტებში. მაგალითად: პოლიტიკურ და სხვა თანამდებობებზე მომუშავე თანამშრომლები, სერვის-პროვაიდერები (ადგილობრივი შემლუღელი პასუხისმგებლობის საზოგადოებების ჩათვლით), ინსპექციები / სამართალდამცავი ორგანოები. ამ ჩამონათვალს შეიძლება დაემატოს აგრეთვე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (ნარჩენებისა და ქიმიურინფორმაციის მართვის სამსახურის, ეროვნული სატყეო სააგენტოს,

დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ჩათვლით); საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო; შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, სამედიცინო ნარჩენების მართვის კომპანიები.

2. ორგანიზაციები, რომლებსაც პირდაპირი ეკონომიკური ინტერესი აქვთ მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვაში; მაგალითად, როგორებიცაა კომერციული/სამრეწველო ნარჩენების წარმომქმნელები, რეციკლირების კომპანიები, ნარჩენების შემგროვებელი კომპანიები, აგრეთვე ნარჩენების მართვის ან მისი დამხმარე პროგრამების პოტენციური დონორები ან დამფინანსებლები;
3. ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებსაც სხვაინტერესები აქვთ ნარჩენების მართვაში მუნიციპალიტეტის ფარგლებში, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციები, აკადემიები და/ან კვლევითი ინსტიტუტები;
4. ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებმაც პირდაპირ ზემოქმედებასახდენს მუნიციპალური ნარჩენების მართვისახლანდელი პრაქტიკა ან შესაბამის მუნიციპალიტეტებში არსებული სანარმოები, მაგალითად, საბინაო კოოპერატივები, ასევე სოფლები, სადაც არაადეკვატურად, ან, საერთოდ, არ ფუნქციონირებენ ნარჩენების შეგროვების სამსახურები და ა.შ.
5. ორგანიზაციები და ფიზიკური პირები, რომლებმაც მომავალში, შესაძლოა, ზემოქმედება იქონიონ გაუმჯობესებულმა მუნიციპალურმა საქმიანობებმა დასანარმოებმა, მაგალითად, როგორებიც არიან სოფლის მეურნეობის ან მეხილეობის პროდუქტების მწარმოებლები, რომლებიც შეიძლება იყვნენ ნარჩენების გადამუშავების შედეგად მიღებულ კომპოსტს, აღდგენილი მასალების ადგილობრივი/რეგიონული/ეროვნული ბაზრები და ა.შ.

ამ საქმიანობის მიზანია შესაბამისი დაინტერესებული მხარეების განსაზღვრა თითოეულ მუნიციპალიტეტში. მათი მონაწილეობა დაგეგმვის პროცესში დაეხმარება მუნიციპალიტეტს იმის უზრუნველყოფაში, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებაში წარმოდგენილი იყოს ინტერესებისა და ცოდნის სრული სპექტრი. ამასთანავე, მათი აქტიური მონაწილეობა დაეხმარება მუნიციპალიტეტებს იმის უზრუნველყოფაში, რომ დაგეგმილი შედეგების მიმართამ ჯგუფებს ჰქონდეთ მიმღებლობა. საუკეთესო შემთხვევაში მათი აქტიური მონაწილეობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ნარჩენების მართვის პოლიტიკასა და ინვესტიციებს, რაც, შესაძლოა, საჭირო გახდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის რეკომენდებული გეგმის შედეგების რეალიზაციისას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება ხარჯების ამოღების გაზრდის პერსპექტივის მხარდასაჭერად მომავალში შესაძლო სატარიფო რეფორმების განხორციელებით, რაც ერთ–ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად შექმნილი განახლებული

მუნიციპალური სისტემების, ახალი პროცესების ან ობიექტების მდგრადი და ხანგრძლივი ფუნქციონირებისათვის.

მუნიციპალიტეტების მიერ შესაბამისი დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირების შემდეგ მხარეები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები დაგეგმვის პროცესში, რაც უნდა მოიცავდეს მათონადადებებს დაგეგმვის პროცესისმიმდინარე საკითხებისა და ალტერნატივების სფეროში, ასევე – აქტიურ დახმარებებს აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაში, რაც საჭიროა დაგეგმვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებისას.

დაინტერესებული მხარეების ჩართვის უზრუნველყოფა ამ პროცესში შეიძლება შესრულდეს მათთვის ოფიციალური წერილების დაგზავნის გზით, რომელშიც მოკლედ უნდა იყოს აღწერილი დაგეგმვის სავარაუდო პროცესი დასასურველი მისაღწევი შედეგები. ეს ოფიციალური წერილი (თუ შესაძლებელია, შედგენილი უნდა იყოსადგილობრივი მთავრობის მიერ) მიჩნეულ უნდაიქნეს მონვევად დაინტერესებულ პირთა პირველ შეკრებაზე, და, აგრეთვე იმის ინდიკატორად, რომ ისინი დაინტერესებული არიან, მონაწილეობა მიიღონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში.

საქმიანობა 1.4 – ადგილობრივი დაინტერესებული პირების საკონსულტაციო ჯგუფის შექმნა

დაინტერესებული მხარეების პირველ კრებაზე გამოვლენილი მათი ინტერესის საფუძველზე, საჭიროა, ოფიციალურად შეიქმნას დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ჩაატარებს კრებებსდა განიხილავს დაგეგმვის პროცესის მიმდინარე საქმიანობებთან დაკავშირებულ საკითხებს. ამას გარდა, სამუშაო ჯგუფი უშუალოდ უნდა იქნეს ჩართული დაგეგმვის პროცესის ყველა მნიშვნელოვანი ეტაპის სამუშაოებში, მაგალითად, არსებული პირობების შეფასების სამუშაოს დასრულებისას ან მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომავალი სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების ალტერნატივების შეფასების საქმიანობებში.

საქმიანობა 1.5 – მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის ამოცანებისა და მიზნობრივი შედეგების განსაზღვრა

ნათელია, რომ ნებისმიერიგეგმის მიზანს წარმოადგენს სასურველი შედეგების მიღწევა. ამიტომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია იმის გაგება, თუ ზუსტად, კონკრეტულად რის მიღწევას ცდილობს მუნიციპალიტეტი. საქართველოს მუნიციპალიტეტებისათვის

ეს ამოცანა გარკვეულწილად უკვე განსაზღვრულია კანონით – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – დადგენილი კრიტერიუმებით, სადაც მითითებულია როგორც მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შინაარსი (როგორცეს შემთხვევაში იყო წარმოდგენილი), ისე მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობები, რომლებიც მათ უნდა იკისრონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი მომსახურებების უზრუნველსაყოფად თავიანთ ადმინისტრაციულ ფარგლებში (თითოეული მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი მეორე რიგის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს კანონის მოთხოვნების შესრულება შედეგების დაგვარად ხარჯეფექტიანი და მდგრადი გზით).

დაგეგმვის მოსამზადებელ პროცესში მუნიციპალიტეტების ამოცანები და სასურველი მიზნები მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული და ჩამოყალიბებული, რათა მიღწეულ იქნეს გამომავალი შედეგები, რაც მეტად მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესის შედეგების მონიტორინგისას. პირველადი მიზნობრივი ამოცანები და შედეგები მნიშვნელოვან საწყისწერტილს წარმოადგენენ მთელი დაგეგმვის პროცესისათვის და განსაზღვრავენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის სავარაუდო სამოქმედო არეალს. ეს ასევე დაეხმარება მუნიციპალიტეტებს იმ სამუშაოების განსაზღვრაში, რომლებიც დაგეგმვის პროცესის სხვადასხვა ქმედების ფარგლებში უნდა შესრულდეს. საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში დაგეგმვის მიზნები და ამოცანები, სავარაუდოდ, მოიცავს შემდეგ ინიციატივებს:

- მუნიციპალიტეტებში ნარჩენების შეგროვების სერვისების ოპტიმიზაცია და გაფართოება;
- ნარჩენების ხარჯეფექტიანი ტრანსპორტირება ახალ რეგიონულ ნაგავსაყრელებზე, პირდაპირი მიზიდვით ან გადამტვირთავი სადგურების მეშვეობით, რომლებიც შეიქმნება ცენტრალური ან ადგილობრივი მთავრობების მიერ;
- ფორმალური მუნიციპალური პროგრამების შემუშავება მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის წილის გაზრდისათვის, რაც წარმოადგენს ნაგავსაყრელებზე მოხვედრილი მუნიციპალური ნარჩენების წილის შემცირებისა და მუნიციპალური ნარჩენების ცალკეული ფრაქციების კომპონენტების ღირებულების აღდგენის საშუალებას;
- ბაზისის შემუშავება ხარჯების ამოღების ოპტიმიზაციისათვის, მიღწეული გაუმჯობესებების სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის ამოცანებისა და სამიზნე შედეგების განსაზღვრა და მიღება მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან საწყის ამოცანად უნდა იქცეს, რომელშიც აქტიურად უნდა ჩაერთონ დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფი და მუნიციპალიტეტების მიერ შერჩეული თანამშრომლები. საქმიანობის განხორციელებისათვის ხელმისაწვდომი რესურსების ეფექტიანი გამოყენება სამიზნე შედეგებისათვის, უზრუნველყოფს სასურველი მიზნების მიღწევას. ეს კი, თავის მხრივ, წარმოშობს

ნარჩენებისშეგროვებისა დაგანთავსების ძირითადი ფუნქციების გაუმჯობესების საჭიროებას, როგორც მუნიციპალიტეტების უმნიშვნელოვანეს სანჯის პრიორიტეტს, რასაც შემდეგ უნდა მოჰყვეს ფორმალური აღდგენის პროგრამების შექმნა.

საჭიროა კონკრეტული გეგმის შესრულების მიზნების იდენტიფიცირება, რათა დადგინდეს განმსაზღვრელი ბაზისი, თუ რამდენად წარმატებული იქნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა. შესრულების მიზნების იდენტიფიცირების კრიტერიუმები უნდა ეფუძნებოდ ესენ. „SMART“ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც იდენტიფიცირებული მიზნები უნდაიყოს სპეციფიკური, გაზომვადი, მიღწევადი, რეალისტური და დროის მიმართ სენსიტიური (Specific, Measurable, Achievable, Realistic, and Time sensitive):

- სპეციფიკური მიზნები არის პირდაპირი და არაორაზროვანი, მათი იდენტიფიცირება ნათლადაა შესაძლებელი მიღწევის შემთხვევაში;
- გაზომვადი მიზნები არის მკაფიოდ განსაზღვრული, ამიტომთქვენ გეცოდინებათ, თუ როდის იქნება ისინი მიღწეული, რადგან შეგიძლიათ მათი შედეგების გაზომვა;
- მიღწევადი მიზნები არის გონივრული მიზნები, ისინი შეიძლება დაისახოს მუნიციპალიტეტის მიერ, ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლების გათვალისწინებით;
- რეალისტურია ის მიზნები, რომელთა მისაღწევადაც მუშაობა სურს და შეუძლია მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასა და საზოგადოებას (ეს გულისხმობს, რომ საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” –მოთხოვნები და ეროვნული სტრატეგიის მხარდამჭერი მუნიციპალური ინიციატივები მათ საშუალებას აძლევენ მიიღონ დამატებითი ფინანსური და ტექნიკური რესურსები, რათა მიაღწიონ სასურველ შედეგებს, კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება, მაგალითად,გადამტვირთავი სადგურების შექმნას რეგიონულ ნაგავსაყრელებამდენარჩენების გადატანის ოპტიმიზაციის მიზნით);
- დროის მიმართ სენსიტიური მიზნები არის მიზნები, რომლებიც განისაზღვრება დაგეგმვისა და განხორციელების დროის ფარგლებში და იგეგმება იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო შესრულდეს დროის კონკრეტულ და რეალისტურ მონაკვეთში. სამუშაოს ამა თუ იმ ნაწილის შესრულების დროითი ასპექტები შეიძლება მიჩნეულ იქნეს განხორციელების გარდამავალ ეტაპებად, რომლებიც ქმნიან მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შედეგების მისაღწევად მუნიციპალიტეტის მიერ განეული საქმიანობების მონიტორინგის საფუძველს.

ამ SMART მიზნების იდენტიფიცირება დაგეგმვის მოსამზადებელი პროცესის ფაზაში საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ დაგეგმვის ამ პროცესში მოპოვებული კონკრეტული ინფორმაცია. მიზნობრივი შედეგების ზუსტი და დეტალური განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტებმა იცოდნენ, წარმატებულია თუ არა მათიმცდელობები გეგმებით გათვალისწინებული საქმიანობის შესასრულებლად და მიიღწევა თუ არა ასეთი შედეგები

სასურველი ხარისხით. ამ მიზნების განსაზღვრა სანციის ფაზაში ასევე იძლევა შესანიშნავ შესაძლებლობებს, რომ დაგეგმვის პროცესში თავიდანვე იქნენ ჩართული დაინტერესებული მხარეები და მუნიციპალიტეტების მიერ შერჩეული მათი თანამშრომლები. ყოველივე მემოალნიშნულის შედეგად, დასახული ამოცანები დასამიზნე შედეგები ოფიციალურად უნდა იქნეს დამტკიცებული მუნიციპალიტეტის/გამგეობის მიერ, როგორც დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი.

საქმიანობა 1.6 - იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ ნარჩენების წარმოქმნასა და მართვაზე

დაგეგმვის პროცესის დაწყების მომზადებისას მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას მოახდენენ მის მიერ მისაღებ გადანყვეტილებებზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს საქმიანობა უნდა შედიოდეს პროცესის მოსამზადებელ ფუნქციაში, რადგან, ეს სავარაუდოდ, განსაზღვრავს ფუნქცია 1-ის შემდგომი საქმიანობის ფარგლებში შესამუშავებელი დეტალური სამუშაო გეგმის შინაარსს. ფაქტორები, რომლებიც, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენენ მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებულ და მომავალ პირობებზე, მოიცავს შემდეგს:

- დემოგრაფიული მდგომარეობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ფარგლებში;
- ნარჩენების წარმოქმნის მონაცემები (მუნიციპალური ნარჩენების როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მონაცემები);
- სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნაზე, ისე ხარჯების ამოღების გაუმჯობესების საშუალებებზე (და, შესაძლოა, მუნიციპალიტეტებში არაფორმალური რეციკლირების ახლანდელ დონეზე);
- მოქმედი ადგილობრივი და ეროვნული კანონები, მარეგულირებელი მოთხოვნები და პოლიტიკა;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურების მიმართ არსებული ინსტიტუციური პასუხისმგებლობები და შესაძლებლობები;
- დეტალური ინფორმაცია მუნიციპალური ნარჩენების მართვის პრაქტიკის, ქონების (ტექნიკურ-მატერიალური ბაზის), პერსონალისა და ინფრასტრუქტურის შესახებ, რათა განისაზღვროს როგორც მომსახურების ახლანდელი დონე, ისე სისტემის ნაკლოვანებები;
- ეკონომიკური ფაქტორები, როგორებიცაა: 1) არსებული მუნიციპალური სისტემის მთლიანი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები; 2) ხარჯების ამოღების დონე და მოსაკრებლების ამოღების მაჩვენებელი; და 3) ბიუჯეტირების დონეები და პროცესები;
- ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ნარჩენების აღდგენის პროცესებზე, მაგალითად, კერძო სექტორის საქმიანობები და აღდგენილი და კომპოსტირებული მასალების არსებული ბაზრები.

საქმიანობა 1.7 - დეტალური სამუშაო გეგმის შემუშავება შესრულების გრაფიკებითა და ძირითადი ეტაპებით

დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფთან მუშაობითა და 1.6. საქმიანობის თარგვლებში იდენტიფიცირებული მუნიციპალური ნარჩენების მართვაზე გავლენის მქონე ფაქტორების გათვალისწინებით, მუნიციპალური დაგეგმვის მენეჯერმა უნდა შეიმუშაოს ყველა შემდგომი საქმიანობის დეტალური სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა დასრულდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის საბოლოო გეგმისა და მისი განხორციელების სტრატეგიის ჩამოყალიბებით. ეს სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს. ამ გეგმით განისაზღვრება პასუხისმგებლობები განსახორციელებელ სამუშაოებზე, საჭირო ეკონომიკური და ტექნიკური რესურსები, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ყველა ამოცანის შესასრულებლად აუცილებელი სამუშაოების დროითი გრაფიკები (ეტაპები). სამუშაო გეგმაში წარმოდგენილი შესრულების გრაფიკები და ეტაპები ქმნის ბაზისს, რომელიც გვეხმარება მიზნობრივი შედეგის მისაღწევად განული სამუშაოების მონიტორინგში, ასეთ შედეგს კი წარმოადგენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ყოვლისმომცველი გეგმისა და სტრატეგიის შექმნა.

დაგეგმვის პროცესის მენეჯერის მიერ სამუშაო გეგმის მომზადების შემდეგ გეგმას განიხილავს დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც წარადგენს თავის თვალსაზრისს, რის შემდეგაც მოხდება გეგმის ოფიციალური პრეზენტაცია და დამტკიცება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ (რომელსაც გეგმით გათვალისწინებული ყველა სამუშაოსათვის სავარისი რესურსების მობილიზაციის უზრუნველყოფა დაეკისრება).

ფუნქცია 2 – არსებული მდგომარეობის განსაზღვრა და შეფასება

ეს არის მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია. მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სანყის პირობებს, რომლებიც განსაზღვრავენ მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის არსებულ სტრუქტურასა და ფუნქციას. არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი შეფასება დაგვეხმარება სისტემის ნაკლოვანებების გამოვლენასა და რაოდენობრივ განსაზღვრაში, ასევე, ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონიძიებების დაგეგმვაში.

მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობის განსაზღვრა მოითხოვს ზუსტი და საკმარისი ინფორმაციის შეგროვებას, რათა მივიღოთ საიმედო მონაცემები მუნიციპალური ნარჩენების წყაროების, რაოდენობების, შემადგენლობის, არსებული სისტემის ქონების (ტექნიკურ/მატერიალური ბაზის), შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურების, ხარჯების, გარემოზე ზემოქმედებისა და სხვა ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის მუშაობაზე. ასეთი ბაზისური ინფორმაცია მოიცავს შემდეგს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების (მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოსახლეობისა და ორგანიზაციების / კომპანიების მიერ წარმოქმნილი ნარჩენების ჩათვლით) სახეობები და რაოდენობები;
- ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფარგლებში ნარჩენების წარმომქმნელი საწარმოების შესახებ, რომლებიც მუნიციპალური სისტემისაგან გამოცალკევებულად მართავენ თავიანთ ნარჩენებს (ნარჩენების ტიპი, რაოდენობა, შემადგენლობა და მათი მართვის წესი);
- მუნიციპალიტეტის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების შემადგენლობა და ფიზიკური თვისებები;
- ნარჩენების მართვის მოქმედი ინსტიტუციური მექანიზმები და მონაცემები სერვისის მომწოდებლების შესახებ;
- არსებული ოფიციალური ნაგავსაყრელებისა და ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების იდენტიფიცირება, მახასიათებლები და მდგომარეობა;
- მონაცემთა ბაზა მუნიციპალიტეტის არსებული რესურსების (ტექნიკურ-მატერიალური ბაზის) შესახებ, რომლებიც გამოიყენება ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განთავსების პროცესებში (ავტომანქანების, კონტეინერების რაოდენობა და მდგომარეობა, ქუჩების დამსუფთავებლები, პერსონალი);
- ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, ქუჩების დასუფთავებისა და ა.შ. ფიზიკური პროცესების მახასიათებლები;
- ინფორმაცია კონტეინერების განთავსების ადგილებისა და ნარჩენების მართვის სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ნარჩენების შეგროვების მომსახურების ფარგლები, ამ მომსახურებით სრულიადდაუფარავი ან მხოლოდ ნაწილობრივ დაფარული ტერიტორიების ჩათვლით;
- ქუჩების დასუფთავების ფარგლები და პერიოდულობა;
- ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირებისა და განთავსების სრული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები, არსებული მდგომარეობით;

- ინფორმაცია ბიუჯეტირებისა და ფინანსური მართვის ახლანდელი პროცესების, მათორის – ხარჯების ამოღების არსებული დონისა და მუნიციპალიტეტის მოქმედი საბუღალტრო საანგარიშგებო სისტემის შესახებ;
- ინფორმაცია, თუ რამდენად დამაკმაყოფილებელია მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მომსახურების დონე (მაგ., მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით (თუ არსებობს). ეს ინფორმაცია შეიძლება ასევე მოპოვებულ იქნეს მოსახლეობის გამოკითხვის გზით დაგეგმვის პროცესში).

საჭირო ინფორმაციის ჩამონათვალი და ნიმუში წარმოდგენილია წინამდებარე დოკუმენტის დანართ 1–ში, რომლის მიზანია საკმარისი მონაცემების მოპოვების ხელშეწყობა. ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეგროვების საფუძველზე მომზადდება არსებული მდგომარეობის ანგარიში, რომელშიც აღინერება მუნიციპალური სისტემის ნარჩენების მართვის არსებული მდგომარეობა და სისტემის ნაკლოვანებები. ამ ანგარიშს მოამზადებს მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის ჯგუფი (დახმარებისათვის შეიძლება მოიწვიონ გარეშე ტექნიკური ექსპერტები), რათა მოხდეს საბაზისო მდგომარეობის დადგენა და დაგეგმვის პროცესით გათვალისწინებული მიზნობრივი შედეგების მისაღებად საჭირო გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა. ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობების განხორციელების შემდეგ უნდა მომზადდეს ანგარიში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნის საფუძველს, რომ დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფმა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა განსაზღვრონ საუკეთესო ვარიანტი გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და საქართველოს კანონით – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისათვის. ქვემოთ აღწერილი ქმედებების მიზანია იმ გზების დადგენა, რომელთა მეშვეობითაც შეგროვდება და შეფასდება დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელი ინფორმაცია იმისათვის, რომ მივიღოთ სრული სურათი მუნიციპალიტეტის ფარგლებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

საქმიანობა 2.1 – მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების ნაკადების განსაზღვრა

დაგეგმვის საქმიანობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია იმ ნარჩენების რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრა, რომელთა მართვაც მუნიციპალიტეტის ფუნქციებში შევა. ნებისმიერ მუნიციპალიტეტში ნარჩენების ტიპური წარმომქმნელებიარაიან საოჯახო მეურნეობები, მუნიციპალური მომსახურების მიმწოდებელნი, რომლებიც წარმოქმნიან, მაგალითად, ქუჩების დასუფთავების შედეგად მიღებულ ნარჩენებს, აგრეთვე კომერციული დაწესებულებები, სამშენებლო ორგანიზაციები, სოფლის მეურნეობის სფერო.

გეგმის შემუშავების პროცესში საჭიროა, გათვალისწინებული იყოს ნარჩენების წარმოქმნის თითოეული ასეთი წყარო, მიუხედავად იმისა, უშუალოდ მუნიციპალური სისტემა მართავს წარმოქმნილ ნარჩენებს თუ არა (უნდა აღინიშნოს, რომ კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი”– თანახმად, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წელიწადში წარმოქმნიან 200 ტონაზე მეტ არასახიფათო ნარჩენებს ან 1000 ტონაზე მეტ ინერტულ ნარჩენებს ან ნებისმიერი რაოდენობით სახიფათო ნარჩენებს, ვალდებული არიან შეიმუშაონ კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა).

ნარჩენების ნაკადების რაოდენობები –ნარჩენების რაოდენობა, რომელიც ნარჩენების სისტემის რომელიმე კომპონენტით იმართება, არის პარამეტრი, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ მასალის მართვისათვის საჭირო ფუნქციური ერთეულების (სატვირთო ავტოტრანსპორტი, კონტეინერები და ა.შ.) მოცულობასა და რაოდენობას. ნარჩენების რაოდენობა და ტიპი, რომლებიც უშუალოდ მუნიციპალიტეტის ნარჩენების შეგროვების პროგრამით იმართება, უპირველესად არის საყოფაცხოვრებო და ორგანიზაციების/კომერციული დაწესებულებების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების წარმომქმნელების რაოდენობის ფუნქცია, რომლებსაც ნარჩენები მიაქვთ მუნიციპალიტეტის კონტეინერების განთავსების ადგილებამდე.

ნარჩენების რაოდენობა, ჩვეულებრივ, იზომება წონის ან მოცულობის მიხედვით. თუ შესაძლებელია, ნარჩენების რაოდენობა, დაგეგმვის მიზნით, უნდა ეფუძნებოდეს ნარჩენების რაოდენობის შესახებ გასული პერიოდების მონაცემებს, სასურველია, სასწორის მონაცემებზე დაყრდნობით. თუმცა ბევრგან ნარჩენების რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია პრობლემური აღმოჩნდეს. ქვეყნებში, სადაც მაღალ დონეზე განვითარებული ნარჩენების მართვის სისტემები, ნარჩენების განთავსების ადგილებში ან გადამტვირთავ სადგურებში ფართოდ გამოიყენება სატვირთო მანქანების სასწორები იმისათვის, რომ ზუსტად მოხდეს განსათავსებელი ან შემდეგ ტრანსპორტირებას დაქვემდებარებული ნარჩენების ზუსტი წონის დადგენა. ეს საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ზუსტი მონაცემები სხვადასხვა წყაროდან მიღებული ნარჩენების შესახებ. მუნიციპალიტეტში არსებული კომერციული სატვირთო ავტომანქანების სასწორები შეიძლება გამოიყენებულ იქნეს დროებით, რათა მივიღოთ მონაცემების ნიმუში შემდგომი ინტერპოლაციისა და ნარჩენების მიახლოებითი დღიური ან წლიური რაოდენობების დადგენისათვის. თუმცა შემგროვებელი ან გადამზიდავი ავტოტრანსპორტის პირდაპირი აწონვის საშუალების გარეშე შესაძლებელია, გაკეთდეს გათვლები მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების პროგრამებში ამჟამად გამოყენებული ტექნიკის საფუძველზე, რის შედეგადაც მიახლოებით დადგინდება მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობა. კერძოდ, ეს შეიძლება მოიცავდეს გაზომვად პარამეტრებს, როგორცაა კონტეინერების რაოდენობა და დაცლის სიხშირე, ნაგავშიდავი მანქანების რაოდენობა, რომლებიც ახორციელებენ ნარჩენების ტრანსპორტირებას განთავსების ადგილებამდე და სხვ.

იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენების მიღების შესახებ ჩანაწერები არ არსებობს (როგორც ეს საქართველოს უმეტეს მუნიციპალიტეტებშია), მუნიციპალური სისტემებით მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობის შესახებ მიახლოებითი წარმოდგენის შესაქმნელად შეიძლება გამოვიყენოთ შესაბამისი მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაცია. ამ შემთხვევაში გამოიყენება ნარჩენების წარმოქმნის მიახლოებითი ერთეულის განაკვეთი (კგ/სულზე/დღე ან წელი), რომლის მიხედვითაც იანგარიშება მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობა. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით გენერირებული ნარჩენების რაოდენობა ცვალებადობს 100–300 კგ/სულზე/დღე ფარგლებში. რომელიმე კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის ერთ სულ მოსახლეზე ნარჩენების წარმოქმნის შესახებ მონაცემების მიღებაშესაძლებელია შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიაში“. ეს მაჩვენებლები შეიძლება საკმარისი იყოს მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის საწყისი პროგნოზირებისათვის. ამგვარი გაანგარიშებები ასევე იძლევა საშუალებას გავეთდეს პროგნოზი ნარჩენების რაოდენობის შესაძლო ზრდის შესახებ, ამა თუ იმ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლებიდან გამომდინარე. მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების სავარაუდო ზრდის შესახებ პროგნოზი საშუალებას გვაძლევს აგრეთვე, დავვეგმოთ აღჭურვილობისა და პერსონალის რაოდენობა, რომელიც საჭირო იქნება მუნიციპალური ნარჩენების ეფექტიანი მომსახურებისათვის. შესაბამისად, მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების პროგნოზული ზრდის განაკვეთის დადგენა მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პერიოდში (რომელიც კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – თანახმად, 5 წელიწადს მოიცავს) მნიშვნელოვანი იქნება ოპტიმიზაციის პროგრამის ტექნიკური საჭიროებების განსაზღვრის კუთხით.

ასევე შესაძლებელია, ერთმანეთთან დავაკავშიროთ ნარჩენების წარმოქმნის განაკვეთი და მუნიციპალიტეტის ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური პირობები. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცალკეული სემენტების შესახებ არსებული სოციალურ-ეკონომიკური მონაცემები და ინფორმაცია დაგვეხმარება ნარჩენების ნაკადების საპროგნოზო გათვლების საიმედოობის გამრდაში. ჩვეულებრივ, ნარჩენების წარმოქმნის განაკვეთები ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლებში. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ნარჩენების შეგროვების მომსახურების საშუალებების შეფასებისას რაიონული ცენტრებიდან მოშორებული იმ სოფლებისათვის, რომლებშიც არ მოქმედებს ნარჩენების მართვის მუნიციპალური პროგრამა.

გარდა მუნიციპალურ მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების საშუალო რაოდენობების განსაზღვრისა, დაგეგმვის პროცესშიასევესაჭიროა განხილულ იქნეს მუნიციპალური ნარჩენების რაოდენობის პოტენციური დღიური და სეზონური ცვალებადობა. ტურიზმი ან სასოფლო-სამეურნეო ნარჩენების

სეზონური გენერირება, შესაძლოა, ნარჩენების რაოდენობების სეზონური ცვალებადობის მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდეს და ეს ფაქტორი გათვალისწინებული უნდა იყოს დაგეგმვის პროცესში.

მუნიციპალური ნარჩენების ნაკადისმახასიათებლების შეფასების მიზნით, საჭიროა, შეგროვდეს შემდეგი საბაზისოსტატისტიკური ინფორმაცია:

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ახლანდელი რაოდენობა და სავარაუდო მატება დაგეგმვის პერიოდში (დემოგრაფიული მდგომარეობის ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში);
- ტერიტორიის გეოგრაფიული ზომა და ფართობი, სადაც მუნიციპალური ნარჩენები გროვდება. ეს ადგილები შეიძლება დაიყოს საცხოვრებელ, სანარმოო ან კომერციულ ზონებად, თუკი ზოგიერთ ასეთ ადგილას მუნიციპალური ნარჩენების მართვის წესი განსხვავდება სხვა ადგილებში მოქმედი წესებისაგან. დაგეგმვის პროცესში სასარგებლო იქნება რუკები, რომლებზედაც ამ ტიპის ინფორმაციაა წარმოდგენილი (მინათსარგებლობის და მინათმფლობელობის რუკების მიღება შეიძლება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში);
- გეოგრაფიული ადგილები და დასახლებული პუნქტები, მაგალითად ადმინისტრაციული ცენტრებიდან მოშორებული სოფლები, რომლებშიც შეზღუდულად ან, საერთოდ, არ მოქმედებს ნარჩენების მართვის მუნიციპალური პროგრამა. მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული დაყოფის ძირითადი რუკები უნდა მომზადდეს იმ ადგილებისა და მოსახლეობის რაოდენობის აღნიშვნით, სადაც შეზღუდულად ან, საერთოდ, არ მოქმედებს ნარჩენების მართვის მუნიციპალური პროგრამა;
- იმ ძირითადი საწარმოების, კომერციული დაწესებულებების, მათშორის – სასოფლო-სამეურნეო და ტურისტული სფეროს დაწესებულებების სიდიდისა და რაოდენობის დეტალური მახასიათებლები, რომლებიც შეიძლება ნარჩენების მსხვილ წარმომქმნელებს მივაკუთვნოთ, დარომლებიც შეიძლება ეწოდნენ, ან არ ეწოდნენ ნარჩენების მართვის დამოუკიდებელ მომსახურებას ნარჩენების შეგროვების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებს გარეთ.

მუნიციპალურ მართვას დაქვემდებარებული ნარჩენების სავარაუდო რაოდენობრივი შეფასება დაგვეხმარება ნარჩენების შესაგროვებელი საშუალებების (კონტეინერები, სატვირთო ავტომანქანები და პერსონალი) რაოდენობის განსაზღვრაში, რომელიც საჭიროა ამ მომსახურების ადეკვატურ დონეზე შესასრულებლად (საბოლოო ჯამში, დაგეგმვის მიმდინარე და სამომავლო საქმიანობებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება რეგიონული ნაგავსაყრელების ხიდურა სასწორებიდან მიღებულ ინფორმაციას).

ნარჩენების შემადგენლობა - გარდა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ფარგლებში მოქცეული ნარჩენების რაოდენობის განსაზღვრისა, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნარჩენების შემადგენლობის ცოდნაც. ნარჩენების შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია განსაზღვრავს ნარჩენების ფორმალური რეციკლირებისა და კომპოსტირების პროგრამების შექმნის შესაძლებლობებს, მუნიციპალური ნარჩენების ნაკადებში აღდგენადი მასალების (როგორცაა რეციკლირებადი მასალები და ორგანული მასა) შემცველობის პროპორციის დადგენის მეშვეობით. უმეტეს შემთხვევებში ნარჩენების შემადგენლობის შეფასების მიზანია ნარჩენების ნაკადში ორგანული ნივთიერებების, ქაღალდის, მუყაოს, პლასტიკის, შუშისა და ლითონის მასალების შემცველობების განსაზღვრა.

ინფორმაცია მუნიციპალური ნარჩენების ნაკადის ფიზიკური შემადგენლობის შესახებ მნიშვნელოვანი იქნება მასალების აღდგენის პროცესებისა და საშუალებების ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის (და დაპროექტების) შეფასებისათვის. მაგალითად, მუნიციპალური ნარჩენების ნაკადებში იმ რეციკლირებადი ან კომპოსტირებადი მასალების განსაზღვრა, რომელთა აღდგენა ხარჯეფექტიანად შეიძლება განხორციელდეს, მნიშვნელოვანია აღდგენითი ინიციატივების ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესაფასებლად (ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თითოეული მუნიციპალიტეტის მიერ უნდა იქნეს გამოკვლეული ნარჩენების შემცველობის შეფასებისას, არის შემოქმედება, რომელიც შეიძლება რეციკლირების არაფორმალურმა საწარმოებმა მოახდინონ მუნიციპალური ნარჩენების ნაკადების ფიზიკურ მახასიათებლებზე).

საქმიანობა 2.2 - ნარჩენების მართვის პროცესების, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის შეფასება

მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედი მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ოპერაციული მაჩვენებლები და ფუნქციები დახმარებას გაგვიწევს არსებული სისტემის ნაკლოვანებების გამოვლენაში და იმ ღონისძიებების დაგეგმვაში, რომელთა გატარებაც საჭიროა მათი აღმოფხვრის მიზნით.

შეგროვება/ტრანსპორტირება - შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურება, ჩვეულებრივ, მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემის ყველაზე ძვირადღირებულ და ხილულ ელემენტებს წარმოადგენენ. მოსახლეობის მიერ აღქმა იმისა, თუ რამდენად ეფექტიანია მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემა, დიდწილად დამოკიდებულია მათ დაკვირვებაზე ნაგვის შეგროვების პროცესზე. ეს შეიძლება მოიცავდეს დაკვირვებას ნაგვის ურნების ირგვლივ არსებულ მდგომარეობაზე, ნაგვის ურნების დასუფთავების სიხშირეზე, ნაგვის მოცულობასა და ნაგვის გადაამზიდავი მანქანებისა და ურნების ფიზიკურ მდგომარეობაზე. მიზანშეწონილია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების

ამჟამინდელი სისტემისა და მისი კომპონენტების აღწერა მათი ფიზიკური, ფინანსური და საორგანიზაციო ფუნქციების თვალსაზრისით. ნარჩენების შეგროვებასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სისტემის შესახებ ინფორმაციის შეგროვება უნდა ითვალისწინებდეს ნარჩენების შეგროვების და სატრანსპორტო საშუალებების იდენტიფიცირებასა და ფიზიკურ შეფასებას, მათი რაოდენობის, სახეობისა და მდგომარეობის ჩათვლით. ამ მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია იმ საშტატო ერთეულების დადგენა, რომლებიც გამოყოფილია ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესისათვის. ამას გარდა, აუცილებელია საოპერაციო ფაქტორების, როგორცაა ნარჩენების ურნების ადგილმდებარეობა, მათი დასუფთავების სიხშირე და დანადგარების/სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციისა და მოვლის პროცედურები, განსაზღვრა და შეფასება.

ნარჩენების აღდგენა (რეციკლირება, კომპოსტირება და ა.შ.)- საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – ერთ-ერთ ფუნდამენტურ პირობას წარმოადგენს ნარჩენების კომპონენტების აღდგენის დონის ამაღლება და მათი პოტენციურ რესურსად გამოყენება და ამით საბოლოო განთავსებას დაქვემდებარებული ნარჩენების რაოდენობის შემცირება. უმეტეს შემთხვევაში, ნებისმიერი მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის ოფიციალური პროგრამის ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობა განისაზღვრება იმ ბაზრების არსებობით ან შექმნით, რომლებიც იყენებენ ასეთ მასალებს, რეციკლირებადი მასალებისა და კომპოსტის ჩათვლით, რომლებიც მიიღება ნარჩენების ორგანული ფრაქციიდან. არსებული მდგომარეობის შეფასების ეტაპზე უნდა განისაზღვროს, მიმდინარეობს თუ არა ნარჩენების აღდგენასთან დაკავშირებული საქმიანობა მუნიციპალიტეტში და თუ მიმდინარეობს, რა სახის და რა მოცულობით. მხედველობაში მისაღებია არაფორმალური სექტორის საქმიანობა და მისი გავლენა ურნებში ან ნაგავსაყრელებზე განლაგებული ნარჩენების აღდგენაზე. ნარჩენების აღდგენის არსებული პროცესების თავისებურება და მოცულობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ მუნიციპალური ოფიციალური პროგრამების სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრაში, რომელიც შესაძლებელია, მომავალში განვითარდეს. აღდგენის ნებისმიერი საქმიანობის განსაზღვრა და შეფასება უნდა მოხდეს შემდეგი ინფორმაციის შეგროვების საფუძველზე:

- რეციკლირებას დაქვემდებარებული მასალები (ქალაქი, მეტალი, პლასტიკი და ა.შ.);
- არსებული გადამამუშავებელი საწარმოები (ადგილმდებარეობა, სიმძლავრე, გადამამუშავების პროცესების სახეობები, ასაკი და ა.შ.);
- გადამამუშავებული მასალების ორგანიზებული შეგროვება (მომსახურების არეალი, ნარჩენების სახეობა, რაოდენობა, შეგროვების მეთოდი, შეგროვების სიხშირე);
- რეციკლირებადი მასალების არაფორმალური შეგროვება იმის გათვალისწინებით, თუ რისი შეგროვება ხდება ჩვეულებრივ;
- კომპოსტირების ოპერაციები;

- ბაზრები გადამუშავებული მასალებისა და კომპოსტისათვის და მათი არსებობის შემთხვევაში – შეგროვებული მასალების სახეობები და ბაზრის ჯაჭვის სტრუქტურა;
- ნარჩენების გადამუშავებასა და კომპოსტირებასთან დაკავშირებული ეკონომიკური ფაქტორები, გადამუშავებული მასალების ამჟამინდელი და წარსულში არსებული ფასების ჩათვლით;
- ადგილობრივი, რეგიონული, სახელმწიფო და საერთაშორისო ნარჩენების გადამმუშავებელი კომპანიებისა და კონსოლიდატორების გამოვლენა და დახასიათება, რომლებიც ამჟამად ემსახურებიან მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ ტერიტორიას.

ნარჩენების განთავსება - ისტორიულად, საქართველოში ნარჩენების განთავსების ადგილები წარმოადგენენ ღია ნაგავსაყრელ პოლიგონებს ან ნარჩენების გადაყრის არაოფიციალურ ადგილებს, რომლებიც ნარჩენების წარმომქმნელების სიახლოვეში არის განლაგებული, სადაც ნარჩენების შეგროვების მომსახურება შეზღუდულიაან საერთოდ არ არსებობს. წინამდებარე შეფასების ფარგლებში უნდა მოხდეს იმ ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონების გამოვლენა და დახასიათება, რომლებიც გამოიყენება მუნიციპალიტეტის მიერ. დაგეგმილია მათი ჩანაცვლება ან გაუმჯობესება “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის” მიერ, მაგრამ მუნიციპალიტეტი შეინარჩუნებს პასუხისმგებლობას შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებაზე ახალ ნაგავსაყრელამდე. აუცილებელია, განისაზღვროს, რამდენად გაიზრდება ტრანსპორტირების მანძილი, რათა დადგინდეს მისი გავლენა მუნიციპალური შეგროვების პროგრამის ხარჯებსა და ფუნქციებზე. არსებული მდგომარეობის შეფასების პროცესში უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების ინვენტარიზაცია და მათი პროფილის დადგენა. აუცილებელია, განისაზღვროს მათი ზუსტი ადგილმდებარეობა (GPS, რუკა და ა.შ.), მათზე განლაგებული ნარჩენების დაახლოებითი რაოდენობა, ფიზიკური პარამეტრები (ზედაპირი, სიღრმე და ა.შ.) და ნებისმიერი ესთეტიკური ან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხი. საბოლოოდ, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების სტრატეგიაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებები მათ დახურვასთან (საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესებასთან) დაკავშირებით იმ ფორმით, რომ შეუძლებელი იყოს მათი ხელმოწერა გამოყენება.

ნარჩენების მართვაში ჩართულისტრუქტურები - არსებული მდგომარეობის შეფასების ამ ეტაპზე უნდა მოხდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედი სისტემის ინსტიტუციური სტრუქტურისა და მენეჯერული ფუნქციების შეფასება. ეს უნდა მოიცავდეს იმ უწყებების ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობების ობიექტურ შეფასებას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ნარჩენებთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებაზე. ამას გარდა, უნდა გადაიხედოს მუნიციპალიტეტსა და ნარჩენების სერვისპროვაიდერებსა და კონტრაქტორებს შორის დადებული კონტრაქტების პირობები, რათა დადგინდეს,

რამდენად სრულად და სწორად არის განსაზღვრული მოვალეობები და პასუხისმგებლობები წარსულში განხორციელებული მომსახურების ხარისხის გათვალისწინებით. ასეთი მონაცემები შესაძლებელს გახდის, სწორად განვსაზღვროთ ის ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება საჭირო იყოს ინსტიტუტური გაძლიერებისათვის, რათა წარმატებით მოხდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის განახლებული სისტემის წარმატებულად მართვა და ფუნქციონირება გეგმით განვრეილი შედეგების მიღწევის მიზნით.

საქმიანობა 2.3 - მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ნაკლოვანებების დადგენა და დახასიათება

საქართველოს კანონით – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით (მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესების ჩათვლით, რომელთა შემუშავება უნდა მოხდეს 2016 წლის 1 თებერვლამდე) და არსებული მუნიციპალური შეგროვების სისტემის შესახებ ინფორმაციის გათვალისწინებით, დაგეგმვის პროცესის დროს უნდა გამოვლენილ იქნეს ის ნაკლოვანებები, რომლებზედაც რეაგირება უნდა მოხდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის შესაბამისი გეგმების განხორციელების პროცესში. სულ მცირე, ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელების პროცესში უნდა მოხდეს შემდეგი ყველაზე სავარაუდო ნაკლოვანებების იდენტიფიცირება და რაოდენობრივად გამოხატვა:

- შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი - უმეტეს შემთხვევებში, საქართველოს მუნიციპალური შეგროვების პროგრამების ძირითად პრობლემას წარმოადგენს მომსახურების დაფარვის არეალი, რომელზედაც ვრცელდება შეგროვების ოფიციალური პროგრამები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ ადგილების ადგილმდებარეობის გამოვლენადა მათი დახასიათება, სადაც არ ხდება ნარჩენების შეგროვება და გატანა, მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, თუ როგორ უნდა მიეწოდოს მათ ეს სერვისი და იმ ღონისძიებების დასაგეგმად, რომლებიც მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, რათა დაცულ იქნეს ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მინიმალური მოთხოვნები. მომსახურების არეალის გაფართოება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის სასურველი შედეგების მიღწევის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს ასეთი ადგილების რუკაზე დატანა და ამ ადგილებში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების სავარაუდო რაოდენობისა და მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ამას გარდა, რეკომენდებულია იმის დადგენაც, თუ როგორ ხდება ამ ადგილებში ნარჩენების განთავსება. მნიშვნელოვანია ასევე, მუნიციპალიტეტში არსებული დაცული ტერიტორიებისა და ტყის მასივების იდენტიფიცირება და ნარჩენების შეგროვებასთან დაკავშირებული არსებული პრობლემების დადგენა დაცული ტერიტორიების ეროვნულ სააგენტოსა და ეროვნულ

სატყეო სააგენტოსთან თანამშრომლობით. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ხდება ნარჩენების მართვა ამ ტერიტორიებზე და მათი ურთიერთკავშირი მუნიციპალური შეგროვების პროგრამასთან.

- შეგროვების/სატრანსპორტო ოპერაციები და ექსპლუატაცია - არსებული მუნიციპალური შეგროვებისა და ტრანსპორტის სისტემის შეფასების დროს უნდა დადგინდეს იმ საშუალებების (ნაგავმზიდავებისა და კონტეინერების) რაოდენობა, ასაკი და ტექნიკური მდგომარეობა, რომელთა გამოყენება ხდება შეგროვების მომსახურების განწესას. ამ კუთხით სხვადასხვა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მდგომარეობაა და ეს ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანი იქნება იმისათვის, თუ რა დამატებითი ტექნიკური რესურსების მობილიზაციაა საჭირო სანდო და ეფექტიანი მომსახურების განწესისა და მომსახურების არეალის გაფართოებისათვის. არსებული მუნიციპალური პროგრამის ამ ასპექტის შეფასება უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე ნაგვის კონტეინერების განლაგებას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა მათი საკმარისი რაოდენობა და ხელსაყრელი ადგილმდებარეობა საყოფაცხოვრებო და საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების წარმოქმნელებისათვის (ჩვეულებრივ, ნაგვის ურნა 100 მეტრით დაცილებით უნდა იყოს მოთავსებული (დადგმული) ნარჩენების წარმოქმნელისგან).
- ნარჩენების განთავსების არაოფიციალური, არაკონტროლირებადი ადგილების ადგილმდებარეობა და დახასიათება - აუცილებელია თითოეულ მუნიციპალიტეტში ასეთი ადგილების იდენტიფიცირება, რათა საბოლოოდ მოხდეს მათი დახურვა ან, საჭიროების შემთხვევაში, მათი გაუმჯობესება გარემოსადა ადამიანის ჯანმრთელობაზე მიანის შემცირების მიზნით. მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში გათვალისწინებულ იქნეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ იმას, რომ ეს ადგილები არ იქნება გამოყენებული დახურვის შემდეგ. ამისათვის მნიშვნელოვანია ეფექტიანი აღსრულების სტრუქტურის შექმნა, რომელიც გააკონტროლებს, ხდება თუ არა სათანადოდ ნარჩენების მართვა მუნიციპალური შეგროვების სისტემის მეშვეობით, რომლის მომსახურების არეალი შეიძლება გაფართოვდეს და მომსახურება მიეწოდოს იმ ადგილებს, სადაც ეს ადრე არ ხდებოდა და შედეგად, შესაძლოა, მოხდეს არაოფიციალური ნაგავსაყრელების ოფიციალურად გამოყენება.

საქმიანობა 2.4 - მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის ხარჯების სრულად განსაზღვრა

მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედი სისტემის პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების განსაზღვრა ძალზე მნიშვნელოვანია იმ ხარჯების დასადგენად, რომლებიც დაკავშირებულია სისტემის გაუმჯობესებასთან. ამ მიზნით, აუცილებელია მოხდეს ყველა იმ ხარჯის აღრიცხვა, რომელიც

უკავშირდება არსებულ მომსახურებასა და ინფრასტრუქტურას. მთლიანი ხარჯების ამგვარი შეფასება შესაძლებელს გახდის, განისაზღვროს დამატებითი ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია შვედეთის, ტრანსპორტირებისა და ნარჩენების განთავსების ძირითად ინდივიდუალურ ფუნქციებთან. ხარჯების განსაზღვრით უნდა დადგინდეს არსებული ბიუჯეტით გათვალისწინებული მთლიანი ჰირდაპირი ხარჯები, ასევე, ერთეულების ხარჯების დაანგარიშება, მაგალითად, როგორცაა ხარჯი შვედეთის მუნიციპალური ნარჩენების ერთ ტონაზე. ეს ყველაფერი დაეხმარება მუნიციპალიტეტებს, ჩაატარონ შედარებითი ანალიზი, რაც მათ საშუალებას მისცემს, შეადარონ თავიანთი მომსახურების ხარჯები სხვა რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტების შესაბამის ხარჯებს.

მოსალოდნელია დამატებითი ფინანსური რესურსების საჭიროება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შედეგების მისაღწევად და ოპერირების სათანადო დონეზე შესანარჩუნებლად. შესაბამისად, არსებულ ხარჯებსა და იმ ხარჯებს შორის სხვაობა, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად, მნიშვნელოვანი იქნება იმ დამატებითი რესურსების დასადგენად, რომლებიც საჭიროა საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მოთხოვნებისა და გეგმის შედეგების მისაღწევად.

საქმიანობა 2.5 - საოპერაციო და სისტემის განვითარებისათვის საჭირო რესურსების მოზიდვის არსებული საშუალებების შეფასება, სტანდარტული ბიუჯეტირებისა და ხარჯების ამოღების პროცესების ჩათვლით

მუნიციპალიტეტებმა უნდა განსაზღვრონ ის მეთოდები/ხერხები, რომელთა გამოყენებით მოხდება იმ ფინანსური რესურსების მოზიდვა, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების განსახორციელებლად და მუნიციპალური ნარჩენების მართვის პროგრამის გასაუმჯობესებლად. ბიუჯეტის პოტენციური წყაროების განსაზღვრა, სახელმწიფო ბიუჯეტის, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და სხვა რესურსების ჩათვლით, უნდა ხდებოდეს დაგეგმვის პროცესის დროს. ამჟამად, როგორც წესი, მუნიციპალიტეტები რიგ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებენ მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემების განხორციელების, ფუნქციონირებისა და ექსპლუატაციის მიზნით და, ამრიგად, აუცილებელია იმ მეთოდების განსაზღვრა და შეფასება, თუ როგორ ხდება მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემებთან დაკავშირებული სახსრების მოზიდვა. ეს მნიშვნელოვანი იქნება დაფინანსების არსებული მექანიზმების შესაძლებლობების შესაფასებლად გეგმის ამოცანების (შედეგების) განხორციელების თვალსაზრისით. დღესდღეობით, მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის დაფინანსება დიდწილად დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე და დამატებითი სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც. მუნიციპალიტეტების

ნარჩენების მართვის ბიუჯეტის შემუშავება ხდება ცენტრალური მთავრობის მიერ გამოყოფილი ტრანსფერებისა და იმ შემოსავლების საფუძველზე, რომელთა გენერირება ხდება ნარჩენების შეგროვების მომსახურების განვავზე გადახდილი საფასურით. ზემოაღნიშნულისწილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის ბიუჯეტში ძალზე უმნიშვნელოა და არ უზრუნველყოფს დიდ ეკონომიკურ დახმარებას.ეს გამოწვეულია როგორც მცირე ოდენობის გადასახადების არსებობით, ასევე მათი ამოღების დაბალი დონით. უფრო კონკრეტულად, ამ ქმედების ფარგლებში უნდა მოხდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის დაფინანსების დონის აღწერა შემდეგი ელემენტების ჩათვლით:

- შეგროვებისა და განთავსებისდაფინანსების მექანიზმი მომხმარებელთა გადასახადების, საბიუჯეტო წყაროებისა და სხვა დაფინანსების წყაროების ჩათვლით;
- არსებული მოსაკრებლების განაკვეთები (ერთეულის მიხედვით/ მომხმარებლების გადასახადები) და მათი ამოღების მაჩვენებლები ყველა სახის ნარჩენების წარმომქმნელისათვის (საყოფაცხოვრებო, კომერციული და ა.შ.);
- ნარჩენების მართვის მომსახურების დაფინანსებაში არსებული ძირითადი პრობლემები, როგორცაა მოსაკრებლების გადაუხდელობა, ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი სახსრებისგამოყენება სხვა დანიშნულებით და სხვ.

საქმიანობა 2.6 - საზოგადოების ცნობიერებისა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი მისი დამოკიდებულების შეფასება

საყოფაცხოვრებო, კომერციული, დაწესებულებებისა და სამრეწველო ნარჩენების წარმომქმნელებს მნიშვნელოვანი როლი აქვთ ნარჩენების მართვის სისტემის წარმატებულ ფუნქციონირებაში, რომელიც ეფუძნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმას. მათი დამოკიდებულება ნარჩენების მართვის არსებული ფუნქციებისადმი, შესაძლოა, განმსაზღვრელი ფაქტორი გახდეს მათი მხარდაჭერის მოსაპოვებლად საჭირო პროგრამებსა და ისეთ მნიშვნელოვან ფინანსურ ელემენტებთან დაკავშირებით, როგორცაა სატარიფო რეფორმა და აღსრულების უფრო მაღალი დონე. ნარჩენების მართვისწარმატებული გეგმის შემუშავებისათვის პროექტების ფარგლებში ხდება გამოკითხვების/კვლევების ჩატარება იმის დასადგენად, თუ რა დამოკიდებულება აქვს ნარჩენების წარმომქმნელებს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის მიმართ და მზადარიან თუ არა, გადაიხადონ გაუმჯობესებული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურისათვის. აუცილებელი იქნება ფართომასშტაბიანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება საზოგადოების გაგებისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად შესაძლო სატარიფო რეფორმასთან დაკავშირებით (უნდა აღინიშნოს, რომ მდგრადი ფუნქციონირების

უმრუნველსაყოფად ნარჩენების მართვის ეფექტიან მუნიციპალურ პროგრამას უნდა ჰქონდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ელემენტი, რომელსაც რეგულარული ხასიათი ექნება).

საქმიანობა 2.7 - არსებული ინსტიტუტების ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობების შეფასება ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებისა და მართვისათვის

ნარჩენების მართვის ეფექტიანი პროგრამის შემუშავებ და განხორციელება მოითხოვს იმ მუნიციპალური ინსტიტუტების სათანადო ტექნიკურ და მენეჯერულ შესაძლებლობებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ნარჩენების მართვის მომსახურების განხორციელებასა და ზედამხედველობაზე ამისათვის მუნიციპალიტეტმა უნდა ჩაატაროს კრიტიკული თვითშეფასება, რათა დაადგინოს, აქვს თუ არა მას შესაბამისი ტექნიკური და მენეჯერული შესაძლებლობები მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების განხორციელებისა და განახლებული მუნიციპალური სისტემის მართვისათვის. სულ მცირე, ეს უნდა მოიცავდეს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების არსებული ინფრასტრუქტურის შეფასებას. ამას გარდა, უნდა შეფასდეს ტენდერების პროცედურები, კონტრაქტის პირობები ნარჩენების მომსახურების განვლაში ჩართულ კონტრაქტორებთან (შპს) და პერსონალის კომპეტენციები. შესაძლებლობებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების გამოვლენა უნდა მოხდეს დაგეგმვის პროცესის შეფასების ეტაპზე, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საჭირო შესაძლებლობების/კომპეტენციების განვითარება გეგმის შემუშავებისა და განხორციელების განმავლობაში. ამ სახელმძღვანელო დოკუმენტში იდენტიფიცირებული დაგეგმვის აქტივობები, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს მუნიციპალიტეტის იმ თანამშრომლების ტრენინგისა და უნარ-ჩვევების განვითარებისათვის, რომლებიც ჩართული არიან დაგეგმვის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია იმ პროგრამების გამოვლენა და გამოყენება დაგეგმვისა და გეგმის განხორციელების პერიოდში, რომლებსაც სთავაზობენ დონორი ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, აკადემია და სხვ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტიტუციური შესაძლებლობების შესანარჩუნებლად პერსონალის გადინების პირობებში.

ფუნქცია 3 - მარიანობის შეფასება და გადაწყვეტილებების მიღება

იმის შემდეგ, რაც ზუსტად დადგინდება, თუ რა სახის მომსახურება და ინფრასტრუქტურა არსებობს მუნიციპალიტეტში, აუცილებელია გადაწყვეტილებების მიღება საუკეთესო გზების შესახებ სისტემაში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მუნიციპალიტეტის მუნიციპალური

ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად. ძირითად მომსახურებასთან დაკავშირებული გადანაცვტილებების გარდა, აუცილებელია გადანაცვტილებების მიღება აღდგენის ახალი ინიციატივების შემუშავებასთან დაკავშირებით, რომლებიც განიხილება პრიორიტეტულ საკითხად საქართველოს კანონის –“ნარჩენების მართვის კოდექსი” – განხორციელების თვალსაზრისით.ამას გარდა, აუცილებელია მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ინტეგრირებული პროგრამის სხვადასხვა ელემენტთან დაკავშირებული ყველა პოტენციური ალტერნატივის შეფასება იმის დასადგენად, შედის თუ არა მუნიციპალიტეტის ინტერესებში და პასუხობს თუ არა როგორც “ნარჩენების მართვის კოდექსისა” და ნორმატიული აქტების, ასევე სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მოთხოვნებს, რომელთა მომზადება ამჟამად მიმდინარეობს. ნარჩენების დამუშავებისა და გაუვნებლების ევროკავშირში წარმატებულად მოქმედი მონიავე ტექნოლოგიების საქართველოში მყისიერად გადმოტანა შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში უპირველესი საჭიროებაა ძირითადი მომსახურების გაუმჯობესება, ხოლო ამ ტექნოლოგიების გამოყენება მაღალ ხარჯებთან არის დაკავშირებული.მომსახურება და ინფრასტრუქტურა, რომლის შეფასება აუცილებელია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განვითარებისათვის სანყის ეტაპზე, შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:

- ტექნიკური ვარიანტები - ტექნიკური ვარიანტები იარსებებს მუნიციპალური ნარჩენების მართვის პროგრამის ყველა ელემენტისათვის. ამაში იგულისხმება შეგროვების მომსახურების ოპტიმიზაცია და გაფართოება. განსაკუთრებით – მომსახურების ხელმისაწვდომობა სოფლებისა და დასახლებებისათვის, სადაც შეგროვების ოფიციალური პროგრამის საშუალებით მოხდება ამ ადგილებში მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების საუკეთესო ვარიანტების შერჩევა. ამ შემთხვევაში ალტერნატიული გზა შეიძლება იყოს დახმარების განწევა სოფლის დონეზე მართვის სისტემის განვითარებაში, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანს ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ რისკებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ალტერნატიულ მიდგომას შეიძლება წარმოადგენდეს აღდგენის ახალი პროცესებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება. მაგალითად, მნიშვნელოვანია გადანაცვტილებების მიღება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება წვდომა გადამამუშავებას დაქვემდებარებულ მასალებზე. გადამამუშავებას დაქვემდებარებული მასალების წყაროსთან სეპარაციამ, შესაძლოა, საგრძნობლად გააუმჯობესოს მარკეტინგი და შესაძლებლობები მეორადი გამოყენებისათვის, უფრო მაღალი ხარისხის, დაუბინძურებელ მასალებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, მაგრამ აუცილებელია,გათვალისწინებულ იქნეს ნარჩენების სეპარირებული (დახარისხებულიად), შეგროვების პროცესთან დაკავშირებული ხარჯები. ამის გათვალისწინება აუცილებელია მუნიციპალური ნარჩენების მართვის

გეგმის შემუშავების დროს, ვინაიდან “ნარჩენების მართვის კოდექსში” აღნიშნულია, რომ გეგმის ფარგლებში უნდა მოხდეს იმ ღონისძიებების შეფასება, რომლებიც დაგეგმილია ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და მუნიციპალური ნარჩენების აღდგენის პრაქტიკის დანერგვისათვის, ბიოდეგრადირებადი და შესაფუთი ნარჩენების ჩათვლით;

- ინსტიტუციური ვარიანტები - ინსტიტუციური ვარიანტების შეფასების მეშვეობით ხდება იმ სტრუქტურის იდენტიფიცირება, რომელიც პასუხისმგებელი უნდა იყოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელებასა და მიზნობრივი შედეგების მიღწევაზე. ეს შეიძლება მოიცავდეს არსებულ მუნიციპალურ სტრუქტურებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან არსებული მომსახურების განწევაზე, ან ახალი სისტემის მონაწილეებს, როგორცაა, კერძო სექტორი ან რეგიონული სახელმწიფო უწყებები;
- ფინანსური ვარიანტები - მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანებისა და შედეგების განხორციელებას დასჭირდება გაზრდილი ინვესტიციები. ეს მოითხოვს აგრეთვე შესაბამის ფინანსურ რესურსებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედი სისტემა ფუნქციონირებს სათანადო და ეფექტიან დონეზე. მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ელემენტია სატარიფორეფორმა, როგორც ინსტრუმენტი ნარჩენების წარმომქმნელებისაგან მეტი ხარჯის მობილიზებისათვის გაუმჯობესებული სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით. საქართველოს არსებული საკანონმდებლო ბაზა იძლევა საფუძველს ტარიფებისა და ხარჯების ამოღების პროცესისათვის, თუმცა იგი დიდად არ უწყობს ხელს არსებული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯების ეფექტური დაფარვას. ამასთან, მუნიციპალური მოსაკრებლის გაზრდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმომქმნელებისა და ორგანიზაციებისათვის/კომპანიებისათვის შეიძლება ვერ მოხერხდეს, რადგან მათ გაზრდილი გადასახადების გადახდის საშუალება არ გააჩნიათ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (რომლებიც უფლებამოსილი არიან მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრაზე) შეიძლება დასჭირდეთ ტარიფების არსებული სისტემის გადახედვა, მათ შორის, მოსაკრებლის ამოღების საშუალებებთან მიმართებით, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული სისტემის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (ეს ხშირად ერთ-ერთი ყველაზე რთული პოლიტიკური რეალობაა მუნიციპალური ნარჩენების მართვის მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროცესში). ტარიფების სისტემის რეფორმირების გარდა, მუნიციპალიტეტებმა უნდა შეაფასონ ალტერნატიული გზებიც იმ საშუალებებისა და ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად და შესასყიდად, რომლებიც საჭიროა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შედეგების მისაღწევად.

ყველა ვარიანტის შეფასებისას მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს რიგი ფაქტორები, როგორცაა ეკონომიკური ეფექტიანობა, ხელმისაწვდომობა, ამ ვარიანტის გამოყენებით მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების მიღწევის შესაძლებლობა და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, პასუხობს თუ არა “ნარჩენების მართვის კოდექსის” მოთხოვნებს. მუნიციპალური ნარჩენების მართვის საბოლოო გეგმამ უნდა წარმოადგინოს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ვარიანტების დადებითი და უარყოფითი მხარეები და დაადასტუროს რეკომენდებული ვარიანტების ვარგისიანობა. ამ კუთხით დახმარება, შესაძლოა, გაგინიოთ ქვემოთ ჩამოთვლილმა საქმიანობებმა.

საქმიანობა 3.1 - მუნიციპალური ღონისძიებებისა და პროცესების პრიორიტეტულობის განსაზღვრა

საქართველოს კანონი “ნარჩენების მართვის კოდექსი”, მასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები და სტრატეგია განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებიც ცენტრალურმა მთავრობამ უნდა გაატაროს ნარჩენების მართვის სახელმწიფო სისტემის მხარდასაჭერად, რათა სისტემამ ეფექტიანად იფუნქციონიროს იმ ელემენტების ჩათვლით, რომლებიც მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. მაგალითად, რეგიონული ნაგავსაყრელების განვითარების ტემპმა, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მუნიციპალიტეტის მიერ შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურების გაუმჯობესების ტემპზე. ამას გარდა, ყველა ვარიანტის შეფასების შემდეგ, რომელთა მიზანია მუნიციპალურ სისტემაში არსებულ პროცესებსა და ინფრასტრუქტურაში ნაკლოვანებების აღმოფხვრა, ამ ვარიანტების განხორციელებისათვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, შესაძლოა, საჭირო გახდეს გეგმის განხორციელების დაგეგმვა არსებული ფინანსური რესურსების შესაბამისად. ღონისძიებების კოორდინაციის საჭიროებახელს შეუწყობს პრიორიტეტების განსაზღვრას, რაც მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების ფაზაში უნდა მოხდეს. ზემოაღნიშნულ პრიორიტეტებზე დაყრდნობით, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში დროში გაინერება გეგმის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები. მაგალითად, შეგროვებისა და განთავსების მომსახურების გაუმჯობესება შეიძლება უფრო პრიორიტეტული იყოს სანჯის ეტაპზე, ვიდრე აღდგენის ხელშეწყობი ახალი პროცესებისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, რადგან მათ შეუძლიათ ხარჯების ამოღების მაჩვენებლის გაზრდა, არსებული შემლუდული ეკონომიკური რესურსებიდან გამომდინარე. ამგვარად, პრიორიტეტები, ნარჩენების მართვის პროგრამის რომელ ელემენტზე მოახდენს მუნიციპალიტეტი რეაგირებას, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს იმის გათვალისწინებით, თუ რა ღონისძიებებს გაატარებს ცენტრალური მთავრობა “ნარჩენების მართვის კოდექსის” ამოცანების მხარდასაჭერად და რა ოდენობის ფინანსური რესურსები აქვს მუნიციპალიტეტს.

საქმიანობა 3.2 - არსებული ან მომავალი სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების ან ინფრასტრუქტურის გამოვლენა, რომლებიც გავლენას მოახდენენ მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემების ვარიანტებზე

ნარჩენების მართვის სახელმწიფო სისტემის განვითარების თანავემოხდება სახელმწიფო დარეგიონული ინიციატივის განვითარება, რომელიც გავლენას მოახდენს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შინაარსსა და შედეგებზე. მაგალითად, ცენტრალური მთავრობის მიერ ახალი ნაგავსაყრელების აშენება ყველა რეგიონში, ევროკავშირის სტანდარტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურების დაგეგმარებასა და შემოადინებული გეგმების შინაარსზე. რეგიონებში აშენებულმა ნაგავსაყრელების ადგილმდებარეობამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გაზარდოს ნარჩენების ტრანსპორტირების მანძილი ამ ნაგავსაყრელებამდე. მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების ადგილებსა და ნაგავსაყრელებს შორის მანძილის (და დროის, რომელიც საჭიროა ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის) მიხედვით განისაზღვრება ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობის საჭიროება შეგროვებისა და ტრანსპორტირების პროცესის ოპტიმიზაციისათვის. ამას გარდა, ცენტრალურმა მთავრობამ, შესაძლოა, დააწესოს მუნიციპალიტეტებისათვის ნარჩენების განთავსებასთან დაკავშირებული გადასახადი (რომლის ოდენობა, სავარაუდოდ, დაეფუძნება ნაგავსაყრელზე მიტანილი მუნიციპალური ნარჩენების ფაქტობრივად აწონილ ოდენობას), რომელმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე მუნიციპალური ნარჩენების მართვის ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით.

საქმიანობა 3.3 - ნარჩენების სამომავლო გენერაციის პროგნოზირება

საქართველოს კანონში – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – აღნიშნულია, რომუნდა შემუშავდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები. ამ პერიოდის განმავლობაში ნარჩენების რაოდენობა, რომელიც მუნიციპალიტეტმა უნდა მართოს, შეიძლება შეიცვალოს იმის გათვალისწინებით, გაიზარდოს თუ შემცირდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა. შესაბამისად, დაგეგმვის პროცესში შეფასებული სხვადასხვა ვარიანტი უნდა ეფუძნებოდეს მუნიციპალური ნარჩენების იმ მოცულობას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას დაგეგმვის ხუთწლიან პერიოდში. ეს ქმედებასაშუალებას მოგვცემს, მოვახდინოთ მუნიციპალური ნარჩენების ოდენობის წარმოქმნის პროგნოზირება შემოადინებული პერიოდისათვის და განვსაზღვროთ, თუ რა გავლენას მოახდენს მუნიციპალური ნარჩენების ეს მოცულობა მუნიციპალური პროგრამის სხვადასხვა ელემენტის შემუშავებასა და ფუნქციონირებაზე.

საქმიანობა 3.4 - საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისა და კონსულტაციების ეფექტიანი პროცესის განვითარება

საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელსაც ექნება რეგულარული ხასიათი და ფართო მასშტაბი, აგრეთვე კომუნიკაცია საზოგადოებასთან, ძალზე მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვის ეფექტიანი პროგრამის განვითარებაში. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის პროცესი მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია საზოგადოების თანხმობის მოპოვება გეგმასა და მის შედეგებთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს გეგმა საზოგადოებამ უნდა განახორციელოს და მათი მონაწილეობა დიდწილად განსაზღვრავს მის წარმატებას თუ წარუმატებლობას. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, დაგეგმვის პროცესში სრულად უნდა იქნეს გამოყენებული კომუნიკაციის ისეთი ელემენტები, როგორცაა საინფორმაციო ბიულეტენები ან ელექტრონული გზავნილები, რომლებიც საზოგადოებას მიანოდებენ ინფორმაციას დაგეგმვის პროცესისა და მისაღწევი შედეგების შესახებ. ამას გარდა, აუცილებელია ზემოაღნიშნული პროცესის მედიაში გაშუქება (დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების, საზოგადოების ინფორმირების ღონისძიებების და ა.შ. ჩათვლით) იმისათვის, რომ უფრო მეტად გასაგები გახდეს საზოგადოებისათვის დაგეგმვის პროცესის ამოცანები და მისაღწევი შედეგები და ის პოტენციური როლი, რომელიც მათ შეიძლება ითამაშონ პროცესის ეფექტიანად ფუნქციონირებაში (ხარჯების ამოღების პროცესებში მათი მეტი ჩართულობის ჩათვლით). ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემა, რომლის გაუმჯობესება მოხდება გეგმის განხორციელების შედეგად, უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის რეგულარული ხასიათის პროგრამას ნარჩენების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება, როდესაც მუნიციპალიტეტი დაიწყებს აღდგენის პროგრამების განხორციელებას, რომლებიც საჭიროებენ ნარჩენების წარმომქმნელების მონაწილეობას.

დაგეგმვის პროცესის განმავლობაში მიზანშეწონილია პერიოდულად საჯარო პრეზენტაციების ჩატარება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განვითარების სტატუსთან დაკავშირებით. ეს საზოგადოებას საშუალებას მისცემს, უფრო მეტად გაერკვეს მიმდინარე პროცესებში და შეიტანოს თავისი წვლილი მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებაში.

დაგეგმვის პროცესში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და კომუნიკაციის ელემენტის ეფექტიანად განხორციელების შემდეგ მუნიციპალიტეტებმა უნდა გახადონ ეს პროგრამა ნარჩენების მართვის პროგრამის მუდმივი

საქმიანობა 3.5 - ალტერნატიული გზების განსაზღვრა შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის

ამ ქმედებების მეშვეობით დაგეგმვის პროცესმა უნდა განსაზღვროს ალტერნატიული გზები შეგროვების მომსახურების ოპტიმიზაციისა და მისი

დაფარვის გაზრდისათვის (მომსახურების შეთავაზება მუნიციპალიტეტის იმ უბნებში, რომლებსაც ამჟამად მომსახურება არ მიეწოდება). შესაბამისად, აუცილებელია გადამწყვეტილებების მიღება ამ ადგილებისათვის მომსახურების განწესა და მათი შეგროვების ოფიციალურ პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით, თუ ამისი გაკეთება პრაქტიკულად არის შესაძლებელი. იმ ადგილებში, სადაც შეუძლებელია შეგროვების სტანდარტული დანადგარების გამოყენება, შესაძლოა, საჭირო გახდეს ალტერნატიული მანქანების გამოყენება, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი გახდება გარკვეული სახის მომსახურების განწესა მოშორებულ ადგილებში. ასევე, გეგმით გათვალისწინებულ უნდა იქნეს ინფორმაციის მიწოდება ნარჩენების წარმომქმნელებისათვის (რომელთა მომსახურება ვერ ხერხდება შეგროვების ოფიციალური პროგრამის ფარგლებში), იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს ნარჩენების მართვა გარემოსათვის ან ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების გარეშე. ეს შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტის მხრიდან დახმარებას სათემო სისტემების განვითარებაში ამ რთულად მისასვლელ ადგილებში.

საქმიანობა 3.6 - ძირითადი და ოპერაციული დანახარჯების შეფასება ნარჩენების მართვის ალტერნატიული ვარიანტებისათვის, მათი მოქმედების პერიოდში ფინანსური გათვლების ჩათვლით

იმ შესაძლო ვარიანტებზე დაყრდნობით, რომელთა განსაზღვრა მოხდება დაგეგმვის პროცესში მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის თითოეული ელემენტისათვის, აუცილებელია ძირითადი და ოპერაციული დანახარჯების დეტალური შეფასების ჩატარება იმის დასადგენად, თუ რა დანახარჯების განწესა არის ასოცირებული ყველა ტექნიკურად შესაძლო ვარიანტთან. გემოლნიშნული გათვლებიდან მნიშვნელოვანია იმ ვარიანტის გამოსავლენად, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მუნიციპალიტეტის ინტერესებს, და იმის გასაგებად, თუ რა სახის ეკონომიკური რესურსებია საჭირო მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ამოცანების განსახორციელებლად და მისი შედეგების მდგრადობის შესანარჩუნებლად. ეს ფინანსური ანალიზი უნდა მოიცავდეს ალტერნატიული ტექნიკური მიდგომების ხარჯების საჭიროებას მათი მოქმედების პერიოდში მუნიციპალური ნარჩენების მართვის ელემენტებთან მიმართებაში. აქვე უნდა მოიაზრობოდეს ამორტიზებული სატრანსპორტო და შემგროვებელი მანქანების გამოცვლა.

საქმიანობა 3.7 - სასურველი ვარიანტებისა და განხორციელების პროცესის შერჩევა

მუნიციპალური ნარჩენების სისტემის ნაკლოვანებების შემცირების ან აღმოფხვრისა და აღდგენის ახალი პროცესებისა და ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით, ყველა სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივების ტექნიკურ და

ეკონომიკურ შეფასებებზე დაყრდობით, აუცილებელია რეკომენდაციების გაცემა სასურველი ვარიანტების შესახებ, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება დაგეგმილი შედეგების მიღწევა. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმაში დეტალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი ინფორმაცია ვარიანტების შეფასების შესახებ რეკომენდებული სისტემებისა და პროცესების მკაფიოდ ჩამოყალიბებული ახსნა-განმარტების მიზნით. შეფასების შესახებ ინფორმაცია და ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება მნიშვნელოვანია შესაბამისი მხარდაჭერის მოსაპოვებლად მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიისათვის და ამ სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსების მოსაპოვებლად. დასკვნები რეკომენდებულ ვარიანტებთან დაკავშირებით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი დაინტერესებული მხარეებისა და პოლიტიკური თანხმობის უზრუნველსაყოფად დაგეგმვის პროცესის ამ ფაზაში, რასაც, შესაძლოა, მოჰყვეს დეტალური საინვესტიციო გეგმის შემუშავება რეკომენდებული ვარიანტების განსახორციელებლად.

საქმიანობა 3.8 - საინვესტიციო გეგმის შემუშავება დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მომსახურებისა და ფუნქციების გაძლიერებისათვის სასურველი ვარიანტის შერჩევის შემდეგ აუცილებელია საინვესტიციო გეგმის შემუშავება დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად და შედეგების მისაღწევად შესაბამისი სახსრების მოპოვების მიზნით. ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საჭირო თანხები შეტანილ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში, რომელსაც ამტკიცებს მუნიციპალიტეტი/საკრებულო*. საჭირო რესურსების ნაწილის მოპოვება შეიძლება გარეშე წყაროებიდან, ცენტრალური მთავრობისა და დონორების ჩათვლით (ინფორმაცია საინვესტიციო გეგმის მხარდასაჭერად და განვითარების რეკომენდებული ვარიანტებისათვის მოყვანილი ახსნა-განმარტება შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დონორი ორგანიზაციების დახმარების უზრუნველსაყოფად, რომლებიც უნდა დარწმუნდნენ დაგეგმილი ინვესტიციების აუცილებლობაში).

*ამჟამად სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცება ერთი წლით ხდება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5-წლიანი ბიუჯეტი, როგორც ეს განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს მუნიციპალიტეტების წლიურ ბიუჯეტში. მეორე მხრივ, მრავალწლიანი ბიუჯეტი მუნიციპალიტეტებს საშუალებას მისცემს, შეიმუშაონ ხარჯების და შემოსავლების პროგნოზი საშუალოვადიანი პერიოდისათვის, მოამზადონ წლიური ბიუჯეტის მოთხოვნები დასამტკიცებლად, განახორციელონ ხარჯებისა და შემოსავლების რეგულარული ანალიზი და მოამზადონ საბაზისო ბიუჯეტი მომავალი წლისათვის. მრავალწლიანი ბიუჯეტის სისტემის ფუნქციონირების შემთხვევაში ნარჩენების მართვის დაგეგმვა 5-წლიანი პერიოდისათვის უნდა შეესაბამებოდეს მრავალწლიანი ბიუჯეტის სტრუქტურას (ცენტრალური და ადგილობრივ დონეებზე) იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს კაპიტალური ინვესტიციების საჭიროებების გათვალისწინება ერთწლიანი ბიუჯეტის ციკლის მიღმა.

საქმიანობა 3.9 - მუნიციპალიტეტში ნარჩენების აღდგენის მაჩვენებლების ზრდის გზების განსაზღვრა

ნებისმიერი აღდგენის ოფიციალური მუნიციპალური პროგრამის წარმატება დამოკიდებულია აღდგენილი მასალებისათვის ბაზრების არსებობაზე. ეს მოიცავს პოტენციურ ბაზრებს ისეთი რეციკლირებადი მასალებისათვის, როგორცაა მეტალები, შუშა, ქაღალდი და სხვა, ან კომპოსტისათვის, რომელიც მიღებულია მუნიციპალური ნარჩენების ორგანული ფრაქციის გადამუშავებით. არსებული ბაზრების იდენტიფიცირება და დახასიათება უნდა მოხდეს დაგეგმვის პროცესის მე-2 ფუნქციის ეტაპზე. იმ შემთხვევაში, თუ რეციკლირებადი მასალებისა და კომპოსტისათვის, რომელთა მიღება აღდგენის ოფიციალური მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ხდება, არ არსებობს სათანადო ბაზრები, დაგეგმვის პროცესის დროს უნდა მოხდეს ისეთი გზების/მეთოდების გამოვლენა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი იქნება საბაზრო შესაძლებლობების გაზრდა. ეს შეიძლება იყოს აღდგენის პროგრამებისათვის რეგიონული მასშტაბის მინიჭება სხვა ახლომდებარე მუნიციპალიტეტებთან ეკონომიკური მასშტაბის ეფექტის შექმნის მიზნით, რაც მეტ სტიმულს მისცემს კომპანიებს და ხელს შეუწყობს საბაზრო შესაძლებლობების გაზრდას. საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მიხედვით, ეს ქმედება მოითხოვს აგრეთვე ალტერნატიული გზების დადგენას წყაროსთან სეპარირებული რეციკლირებადი მასალების შეგროვებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის აღდგენის პროცესის შედეგების ხარისხის გაძლიერების მიზნით (გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნარჩენების სეპარირება წყაროსთან და შეგროვების დამოუკიდებელი სისტემები ზრდის აღდგენილი მასალების ღირებულებას იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში არ ხდება მასალების დაბინძურება, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეგროვების ტრადიციული პროცესების დროს, როდესაც გადამუშავებას დაქვემდებარებული მასალები შეხებაში იმყოფება სხვა ნარჩენებთან).

საქმიანობა 3.10 - რეგიონული შესაძლებლობებისა და ვარიანტების შეფასება

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის მასშტაბების გაზრდა ხელს უწყობს ნარჩენების მართვის ბევრი ფუნქციის სათანადოდ განხორციელებას ან ახალი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ფუნქციონირებას, როგორცაა ნაგავსაყრელები და ნარჩენების გადამუშავების/რეციკლირების ქარხნები. რეგიონული ნაგავსაყრელები, რომლებიც მყარი ნარჩენების მართვის სახელმწიფო კომპანიის პრეროგატივაა, გაუწევს ნარჩენების განთავსების მომსახურებას რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტს. ეს ხელს შეუწყობს ეკონომიკური მასშტაბის

ზრდას ნარჩენების განთავსების ამ ობიექტების უფრო ეფექტიანი დიზაინისა და ოპერაციული სტანდარტების უზრუნველსაყოფად. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტმა უნდა შეისწავლოს სხვა მუნიციპალიტეტებთან რეგიონულ ჭრილში თანამშრომლობის სხვა შესაძლებლობები, რაც გაზრდის ეკონომიკურ მასშტაბებს ყველა მონაწილე მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ. ამგვარი ინიციატივის მაგალითი შეიძლება იყოს ნარჩენების დამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარება მუნიციპალური ნარჩენების დახარისხებისათვის მასალების აღდგენის ან კომპოსტირების საწარმოებისათვის, რომლებიც გამიზნულია წყაროსთან სეპარირებული ორგანული მასალების გადამუშავებისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ “ნარჩენების მართვის კოდექსის” მიხედვით, საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს მოეთხოვება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება, რეგულარული ხასიათის კომუნიკაცია იმ პირებთან, რომლებიც ჩართული არიან მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვაში სხვა მუნიციპალიტეტებში, შესაძლებელს გახდის ეფექტიანი რეგიონული თანამშრომლობის შესაძლებლობების იდენტიფიცირებასა და სხვა მუნიციპალიტეტებში წარმატებულად განხორციელებული განსხვავებული მიდგომების შესახებ ინფორმაციის მიღებას. ამას გარდა, რეგიონული სემინარები, რომლებიც მიზნად ისახავენ ნარჩენების მართვის საერთო საკითხების განხილვას, კარგ საშუალებას წარმოადგენენ რეგიონული თანამშრომლობის გზების გამოვლენისათვის რეგიონებში მუნიციპალური ნარჩენების მართვის ფუნქციების გასაძლიერებლად.

ფუნქცია 4 – მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება

ადგილობრივი პირობებისა და იმ ალტერნატივების შეფასების დასრულების შემდეგ, რომლებიც მიზნად ისახავენ სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრას ან ახალი აღდგენის პროცესების შექმნას, უნდა მომზადდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ოფიციალური წერილობითი ანგარიში, რაც შექმნის საფუძველს საზოგადოებისა და გადაწყვეტილების მიმღები შესაბამისი სტრუქტურების მხარდაჭერის მოსაპოვებლად გეგმასა და მისი რეკომენდაციების განხორციელებასთან მიმართებით. ამას გარდა, ზემოაღნიშნული ანგარიში საჭიროა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხრიდან ფორმალური თანხმობის ან დამტკიცების უზრუნველსაყოფად, რაც დაადასტურებს გეგმის შესაბამისობას “ნარჩენების მართვის კოდექსის” მოთხოვნებთან.

საქმიანობა 4.1 - რა ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი ნარჩენების მართვის გეგმის წერილობით ანგარიშში

წერილობით ფორმატში წარმოდგენილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის

გეგმაში ასახული უნდა იყოს გეგმაში მოცემული ყველა რეკომენდაციის წინაპირობა და ასხნა-განმარტება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომელზე დაყრდნობითაც მიღებულ იქნა გადანიშნულებები რეკომენდაციებთან დაკავშირებით. გეგმა გასაგებად უნდა იყოს დანერგილი და ყურადღებას ამახვილებდეს დაგეგმვის პროცესში გამოვლენილ განხორციელების ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებზე. მიზანშეწონილია ცხრილებისა და გრაფიკების გამოყენება მონაცემებისა და შედეგების შესაჯამებლად. სულ მცირე, მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:

- გეგმის ამოცანები, ხედვა და შედეგების განხორციელების განრიგი (დაგეგმვის პროცესის სანყის ეტაპზე განსაზღვრული SMART ამოცანების გეგმით მიღწევა მკაფიოდ უნდა იყოს ასახული);
- გეგმის წერილობით ანგარიშში აღწერილი სტრატეგიის შემუშავებისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია;
- მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის არსებული სისტემის აღწერა;
- არსებული ნაკლოვანებების მიმოხილვა, მათი ეფექტიანობისა და პრიორიტეტული საკითხების ჩათვლით;
- ამოცანების ჩამონათვალი, რომელთა მიღწევა დაგეგმილია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განხორციელების შედეგად;
- იმ ვარიანტების აღწერა, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია არსებული სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ახალი პროგრამების შემუშავება აღდგენის მაჩვენებლის გაზრდისათვის;
- ვარიანტების შეფასების შედეგები, თითოეული ვარიანტის ტექნიკური, ეკონომიკური და ინსტიტუციური ასპექტების ჩათვლით;
- დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმა გეგმით გათვალისწინებულ პერიოდში დასახული შედეგების მისაღწევად.

წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტის დანართ 1-ში მოცემულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შინაარსის მაგალითი.

საქმიანობა 4.2 - გადანიშნულებების მიმღები შესაბამისი სტრუქტურებისა და დაინტერესებული მხარეების თანხმობისა და რეგულაციებთან შესაბამისობის მოპოვება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმასთან მიმართებით

დაგეგმვის პროცესში ძირითადი დაინტერესებული მხარეების ჩართვა ხელს შეუწყობს მათთან თანხმობისა და მხარდაჭერის მოპოვებას იმ დაგეგმილ შედეგებთან მიმართებით, რომლებიც ასახულია მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ანგარიშში. გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნული ანგარიში იქნება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი დაინტერესებული მხარეების საკონსულტაციო ჯგუფის მხარდაჭერის

უზრუნველსაყოფად სამინისტროსა და მუნიციპალიტეტში/საკრებულოში გეგმისწარდგენამდე მისი საბოლოო დამტკიცების მიზნით.

საქმიანობა 4.3 - მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ოფიციალურად დამტკიცება

დაგეგმვის ამოცანების წარმატებულად დასრულებისა და მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ანგარიშის მომზადებისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსათვის გაცნობის შემდეგ იგი ოფიციალურად უნდა წარედგინოს მუნიციპალიტეტს/საკრებულოს მისი დამტკიცების მიზნით, მათი თანხმობის მოსაპოვებლად შედეგებსა და საჭირო სახსრების გამოყოფასთან დაკავშირებით.

ფუნქცია 5 – გეგმის განხორციელება

მუნიციპალური ნარჩენების გეგმის მომზადებისა და სამინისტროსა და საკრებულოსათვის გაცნობის შემდეგ უნდა დაიწყოს მისი განხორციელება. ეს ნიშნავს იმ ფინანსური რესურსების მოპოვების უზრუნველყოფას, რომელთა მოზიდვა შეიძლება საჭირო იყოს გარეშე წყაროებიდან გეგმით გათვალისწინებული გაუმჯობესების ღონისძიებების განსახორციელებლად.

საქმიანობა 5.1 - მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების დაწყება

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი გეგმა არის გეგმა, რომლის წარმატებით განხორციელება შესაძლებელს გახდის იმ SMART ამოცანების მიღწევას, რომელთა განსაზღვრა მოხდა დაგეგმვის პროცესის საწყის ეტაპებზე. შესაძლოა, საჭირო გახდეს სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენება მუნიციპალიტეტის პროგრამის ელემენტების განსახორციელებლად, პოლიტიკის, იურიდიული, ეკონომიკური, კომუნიკაციისა და საორგანიზაციო/ინსტიტუციური ინსტრუმენტების ჩათვლით. მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის პროცესში უნდა მოხდეს აღნიშნული ინსტრუმენტების გამოვლენა, როგორც იმ დაგეგმილი ღონისძიებების მიზნობრივი შედეგებისა, რომელთა განხორციელება უნდა მოხდეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის ოფიციალური დამტკიცების შემდეგ. ზემოაღნიშნული გეგმის სამოქმედო სეგმენტში განსაზღვრულ უნდა იქნეს, თუ რისი მიღწევაა დაგეგმილი და როდის. განხორციელების პროცესის განმავლობაში აუცილებელია იმის გააზრება, თუ რა შესაძლებლობები შეიძლება გამოჩნდეს მომავალში იმ ინსტიტუტების ტექნიკური და ინსტიტუციური გაძლიერებისათვის, რომლებიც ახდენენ გაუმჯობესებული სისტემების ან/და ახალი პროგრამების ადმინისტრირებას/ ოპერირებას.

საქმიანობა 5.2 - საჭირო გაუმჯობესებებისა და ახალი პროგრამების განხორციელების მონიტორინგი

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმამ უნდა განსაზღვროს ის მეთოდები, რომელთა მეშვეობით მოხდება გეგმის შედეგების მიღწევის თვალსაზრისით პროგრესის გაზომვა გეგმის განხორციელების დანყების შემდეგ. პროგრესის მონიტორინგის ელემენტები შეიძლება მოიცავდნენ შემდეგს:

- გეგმა, რომელშიც დროში განერილი იქნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით განსახორციელებელი ღონისძიებები და მისაღწევი შედეგები;
- განხორციელებისათვის გამოყოფილი ეკონომიკური რესურსების შედარება მოსალოდნელ და მუნიციპალური ნარჩენების მართვის დამტკიცებული გეგმით განსაზღვრულ რესურსებთან;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო სტრატეგიაში განსაზღვრული ფიზიკურად მისაღწევი შედეგები (როგორცაა შეგროვების მომსახურების არეალის გაფართოება, პერსონალისა და ავტოტექნიკის პროდუქტიულობის გაუმჯობესება, რეციკლირების ან კომპოსტირების მოცულობის გაზრდა, მოქალაქეების საჩივრების რიცხვის შემცირება, ნარჩენების რაოდენობისა და სერვისების გაუმჯობესებული აღრიცხვა, ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილების დახურვა და რემედიაცია და სხვა);
- საზოგადოების მონაწილეობაწყაროსთან სეპარაციისა და რეციკლირებისპროგრამებში;
- მოსაკრებლის გადახდის დონე და ხარჯების ამოღება (მაგალითად, იმ საოჯახო მეურნეობების პროცენტი, რომლებიც იხდიან მომხმარებლისათვის დაწესებულ საფასურს);
- აღდგენილი და ბაზარზე გატანილი რეციკლირებული მასალების მოცულობა;
- წარმოებული და ბაზარზე გატანილი კომპოსტის მოცულობა;
- დახურული და რემედიაციას დაქვემდებარებული ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების რიცხვი.

ფუნქცია 6 – გეგმის შედეგების განხორციელება, მონიტორინგი და შენარჩუნება

მუნიციპალური ნარჩენების მართვის დაგეგმვის გრძელვადიანი წარმატების საწინდარი მეთოდების შემუშავება გაუმჯობესებული სისტემის ფუნქციონირებისა და შედეგების რეგულარული მონიტორინგისათვის. ეს აუცილებელია გეგმის

შედეგების ეფექტიანობისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს მთლიანი სისტემის ფუნქციონირების (ან მისი ნებისმიერი ელემენტის ფუნქციონირების) მდგრადობის შენარჩუნებას. ამრიგად, აუცილებელია სისტემის ყველა ფუნქციისათვის შესრულების ინდიკატორების იდენტიფიცირება, რომლებიც წარმოადგენენ რეგულარული ფუნქციური მონიტორინგის განხორციელების საფუძველს. ამ მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი იქნება მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განახლებისათვის, რომელიც უნდა მოხდეს 5 წლის შემდეგ, როგორც ეს “ნარჩენების მართვის კოდექსით” არის განსაზღვრული.

საქმიანობა 6.1 - ნარჩენების მართვის სისტემის მონიტორინგი შეუფერხებელი ეფექტიანი ფუნქციონირების კუთხით

ამ საქმიანობისმეშვეობით მოხდება იმ პარამეტრებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა, რომელიც საჭიროა მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შედეგების მონიტორინგისათვის დაგეგმილი შედეგების მდგრადობის შესანარჩუნებლად. მონიტორინგის პარამეტრები შეიძლება მოიცავდნენ შემდეგს:

სისტემის ფუნქციონირებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები:

- რამდენად შეუფერხებლად ხდება რესურსების გამოყოფა მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემისათვის;
- მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემის მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ანგარიშგება;
- მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის არადაამკმაყოფილებელ ხარისხთან დაკავშირებით შემოსული საჩივრების რიცხვი.

შეგროვება და ტრანსპორტირება

- შეგროვების მომსახურების მიწოდებამ ადგილებში, რომლებსაც მომსახურება არ მიეწოდება;
- ნარჩენების გადამტვირთავისადგურების ქსელის განვითარება;
- შეგროვებისა და ტრანსპორტირების ხარჯების ამოღებამომსახურების რეალური ხარჯების გათვალისწინებით.

რეციკლირება და კომპოსტირება

- წლიური ანგარიშები ნარჩენების რეციკლირებისა და კომპოსტირების პროგრამებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ.

ბანთავსება

- ახალი ნაგავსაყრელების მონყობა რეგიონებში;
- ნარჩენების გადამუშავების მიზნით კონტეინერებიდან მათი უკანონოდ ამოღების გაკონტროლება ან აღმოფხვრა;
- ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილების დახურვადა შემდგომში არალეგალური განთავსების პრევენცია.

საქმიანობა 6.2 – მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის პერიოდულად განახლება საჭიროებებზე დაყრდნობით

მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტიანი გეგმადინამიკურ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც საჭიროებს პერიოდულ განახლებას, რადგანაც მუნიციპალური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პირობები იცვლება სანყის ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების შედეგად და იმ შესაბამისიფაქტორების (მოსახლეობა, ახალი ბაზრები რეციკლირებული და კომპოსტირებული ნარჩენებისათვის და ა.შ.) ცვლილებების ფონზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემაზე. “ნარჩენების მართვის კოდექსით” განსაზღვრული ხუთწლიანი ვადა მუნიციპალიტეტებისაგან მოითხოვს მუნიციპალური ნარჩენების გეგმის განახლებას ხუთი წლის თავზე. წინამდებარე სახელმძღვანელო დოკუმენტში აღწერილი დაგეგმვის პროცესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის განახლებისას.

დანართები

დანართი 1 – ნარჩენების გეგმის სარჩევის ნიმუში

ნაწილი 1 - რეზიუმე

- 1.1 დაგეგმვის საფუძველი
- 1.2 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მიზანი
- 1.3 გეგმის შემუშავების პროცესი
 - ა. შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან
 - ბ. საზოგადოების გამოკითხვის შედეგები
 - გ. კვლევა და ანალიზი
- 1.4 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა
- 1.5 სხვადასხვა ალტერნატივის მიმოხილვა
- 1.6 შედეგებისა და რეკომენდაციების მიმოხილვა
- 1.7 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის შესრულებაზე აგნარიშვალდებული ორგანიზაცია

ნაწილი 2 - შესავალი და არსებული მდგომარეობა

- 2.1 მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის მარეგულირებელი და საკანონმდებლო საფუძვლები
- 2.2 მუნიციპალიტეტის აღწერა და დემოგრაფიული მონაცემები
- 2.3 გეგმის ამოცანები და მიზნობრივი შედეგები
- 2.4 დაგეგმვის პროცესის აღწერა
 - ა. გეგმის ჩარჩო
 - ბ. დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და მონაწილეობის პროცესი
 - გ. საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანია და მონაწილეობის პროცესი

ნაწილი 3 - მუნიციპალური ნარჩენების დახასიათება

- 3.1 შესავალი
- 3.2 გეგმაში მიმოხილული ნარჩენების სახეობები
- 3.3 ნარჩენების რაოდენობა

- ა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა
 - ბ. ორგანიზაციების/კომერციული დაწესებულებების საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები
 - გ. სამრეწველონარჩენების წყაროები და წარმოქმნა
 - დ. სამშენებლო/ნგრევის ნარჩენების წარმოქმნა
 - ე. მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმით მოცული ნარჩენებისწაკადების შემაჯამებელი მიმოხილვა
- 3.4 ნარჩენების პროგნოზირება
- 3.5 ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი

ნაწილი 4 - არსებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემის მიმოხილვა

- 4.1 შესავალი
- 4.2 არსებული მუნიციპალური მომსახურების აღწერა
- 4.3 შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურება
 - ა. ინსტიტუციური ჩარჩო
 - ბ. შეგროვებისა და ტრანსპორტირების საშუალებები და საოპერაციო პროცესები
 - გ. შეგროვების მომსახურების დაფარვისარეალი
- 4.4 ქუჩების დასუფთავება
- 4.5 ნარჩენების განთავსების არსებული ობიექტები
 - ა. ოფიციალური ნაგავსაყრელი პოლიგონები
 - ბ. ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ადგილებისინვენტარიზაცია
- 4.6 აღდგენა(რეციკლირებადა კომპოსტირება)
 - ა. ბაზრები და ბაზრების ჯაჭვების მდგომარეობა
 - ბ. არაფორმალური სექტორის საქმიანობა
- 4.7 საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო
- 4.8 ხარჯები და ხარჯების ანაზღაურება
 - ა. არსებული პროგრამის ხარჯები
 - ბ. არსებული ტარიფები და ხარჯების ფაქტობრივი ანაზღაურება/ მოსაკრებლის ამოღებასთან დაკავშირებული გამოცდილება
- 4.9 ბიუჯეტი და დაფინანსების პროცესები
 - ა. საოპერაციო/საექსპლუატაციო ხარჯები
 - ბ. კაპიტალური დანახარჯები

ნაწილი 5 - ნარჩენების ინდუსტრიაში არსებული საუკეთესო პრაქტიკა და ტენდენციები

- 5.1 შეგროვება და ტრანსპორტირება

5.2 აღდგენის პროცესები

5.3 საზოგადოების განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ნაწილი 6 - ნარჩენების მართვის მომავალი ვარიანტების ანალიზი

6.1 შეგროვება და ტრანსპორტირება

6.2 ნარჩენების განთავსება

6.3 აღდგენა

ა. რეციკლირება

ბ. კომპოსტირება

გ. წყაროსთან სეპარაცია და დამოუკიდებელი შეგროვება

6.4 ინსტიტუციური მოსაზრებები

6.5 სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსება

ნაწილი 7 - შედეგები და რეკომენდაციები

7.1 ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის საჭიროებები

7.2 ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება

7.2 აღდგენის პროგრამების განხორციელების პროცედურები

7.3 საზოგადოებრივი განათლების პროგრამა

ნაწილი 8 - სამოქმედო გეგმა და განხორციელების ვადები

ცხრილები (მაგალითები)

ცხრილი - დემოგრაფიული სიტუაციის პროგნოზირება (5–წლიანი პერიოდისათვის)

ცხრილი - საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა

ცხრილი - ნარჩენების წარმოქმნის პროგნოზირება

ცხრილი - ნარჩენების შემადგენლობა

ცხრილი - ვაპიტალური და საოპერაციო ხარჯები

ცხრილი - ახალ პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები

ცხრილი - ხარჯთა ანალიზი გაუმჯობესების შემოთავაზებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით

ნახაზები (მაგალითები)

ნახაზი - დემოგრაფიული ტენდენციები

ნახაზი - საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობის პროგნოზირება

ნახაზი - საბაზისო რუკა- ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა

ნახაზი - საბაზისო რუკა – ნავის ურნების განლაგება და შეგროვების მარშრუტი

ნახაზი - ნარჩენების შემადგენლობა

დანართები (მაგალითები)

დანართი - კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან და
შეხვედრების ჩანაწერები

დანართი - საზოგადოების გამოკითხვა და კომენტარების შედეგები

მონაცემების ნიმუში

მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმების შემუშავება

ქვემოთ მოცემული ნიმუში წარმოადგენს ზოგად ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის არსებული პროგრამის შესაფასებლად.

ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მუნიციპალიტეტი/ქალაქი.....						
იურისდიქციის ტერიტორია						
ურბანული კმ ²					
არაურბანული კმ ²					
სხვა კმ ² / განმარტეთ					
სულ კმ ²					
მოსახლეობა	1990	1995	2000	2005	2010	მიმდინარე
ურბანული						
არაურბანული						

სულ						
საცხოვრებელი ერთეულები / სახლები	1990	1995	2000	2005	2010	მიმდინარე
ურბანული - ერთი ოჯახის საცხოვრებელი ერთეულები						
ურბანული - რამდენიმე ოჯახის საცხოვრებელი ერთეულები						
სოფელი - ერთი ოჯახის საცხოვრებელი ერთეულები						
სხვა						
სულ						

**ნარჩენების მართვის ფუნქციების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები
(დღევანდელი მდგომარეობით)**

ფუნქცია	განმახორციელებელი ორგანიზაცია			შენიშვნები
	მუნიციპალიტეტი	კონტრაქტორი, შპს	სხვა, კონტრაქტორი	
შეგროვების მომსახურება მოსახლეობისათვის				
შეგროვების მომსახურება კომერციული და სხვა დაწესებულებებისათვის				
შეგროვების მომსახურება საწარმოებისათვის				
შეგროვების მომსახურება საავადმყოფოებისათვის				
ნარჩენების შეგროვების მონიტორინგი და ზედამხედველობა				

ქუჩების დასუფთავება				
ქუჩების დასუფთავება				
წყალსადინარის/მდინარის დასუფთავება				
მკვდარი ცხოველების გატანა				
ბალის ნარჩენების გატანა				
დიდგაბარიტინი ნარჩენების გატანა				
ელექტრო და ელექტრონული ნარჩენების გატანა				
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების გატანა				
მიტოვებული მანქანების გატანა				
სატრანსპორტო საშუალებების/დანადგარების შექმნა				
სატრანსპორტო საშუალებებისა და დანადგარების მოვლა/შეკეთება				
ნარჩენების მართვის მომსახურებისათვის თანამშრომლების აყვანა				
თანამშრომლების ტრენინგი				
საზოგადოებრივი განათლება				

ნარჩენების მართვის სპეციალური პროექტები				
სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ)				

არსებობს თუ არა სამოქმედო ტერიტორიისა და ტოპოგრაფიული რუკები.

.....

.....

.....

ასახულია თუ არა ამ რუკებზე ადგილები, სადაც სრულად, ნაწილობრივ ან საერთოდ არ არსებობს ნარჩენების შეგროვების საშუალებები.

.....

.....

.....

შეგროვება და ტრანსპორტირება

ზოგადი ინფორმაცია შეგროვების/ტრანსპორტირების მომსახურებაზე

არსებობს თუ არა პოლიტიკა იმ სატრანსპორტო საშუალებებისა და დანადგარების გამოყენების სტანდარტიზაციასთან დაკავშირებით, რომლებსაც იყენებს მუნიციპალიტეტი (მისი არსებობის შემთხვევაში მიუთითეთ, თუ როგორ ხორციელდება ეს პოლიტიკა)

აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს თავისი საამქრო სატრანსპორტო საშუალებებისა და დანადგარების მოვლა-შეკეთებისათვის? მისი არსებობის შემთხვევაში როგორ ხდება სათადარიგო ნაწილების შეძენა.საშუალოდ, რა დრო სჭირდება მათ შეძენას? რა პოლიტიკა (ინსტრუქციები) არსებობს სათადარიგო მარაგის შენახვა/გამოყენებასთან დაკავშირებით?

არსებობს თუ არა რუკები, რომლებზედაც ასახულია შეგროვების მარშრუტები და ნარჩენების ურნების განლაგების ადგილები. თუ არ არსებობს ამგვარი რუკები, როგორ ხდება მარშრუტის დაგეგმვა და ურნების განლაგება ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების დროს.

აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს სტანდარტიზაციის პოლიტიკა ნარჩენების ურნებთან/კონტეინერებთან დაკავშირებით. მისი არსებობის შემთხვევაში მოკლედ მიმოიხილეთ მოქმედი პოლიტიკა:

.....

.....

.....

შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი საცხოვრებელი სახლებისათვის (2014 წელი)

მოსახლეობის სეგმენტი	მუნიციპალური მომსახურებით სარგებლობს მოსახლეობის %	შეგროვების სიხშირე
მოსახლეობა		
სოფლად მცხოვრები მოსახლეობა		

შეგროვების მომსახურების დაფარვის არეალი კომერციული და სხვა დაწესებულებებისათვის

ფუნქცია	დაწესებულებების %	შეგროვების სიხშირე
შეგროვება მუნიციპალიტეტის მიერ		
შეგროვება კონტრაქტორის მიერ		
შეგროვება მეპატრონის / კონტრაქტორის მიერ		
შეგროვების მომსახურების არარსებობა (ხორციელდება მეპატრონის მიერ)		

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რომელსაც შეზღუდულად ან საერთოდ არ მიეწოდება შეგროვების მომსახურება

ტერიტორია	მოსახლეობა		შეზღუდული მომსახურების ან მომსახურების არარსებობის მიზეზი	ნარჩენების განთავსების გავრცელებული მეთოდი
	შეზღუდული მომსახურება	არ მიეწოდება მომსახურება		

მუნიციპალიტეტისა და კონტრაქტორების მიერ შეგროვებული ნარჩენების მოცულობა (2014 წლის მდგომარეობით)

ნარჩენების სახეობა	მუნიციპალიტეტის მიერ შეგროვებული ნარჩენები - ტონა/წელი		კონტრაქტორის მიერ შეგროვებული ნარჩენები - ტონა/წელი	
	გაბომილი (აწონილი)	სავარაუდო	გაბომილი (აწონილი)	სავარაუდო
საყოფაცხოვრებო, დაწესებულებების, კომერციული				

ქუჩების/პარკების დასუფთავებით წარმოქმნილი ნარჩენები				
ინფექციური სამედიცინო ნარჩენები				
დიდგაბარიტიანი ნარჩენები				
სხვა				
სულ				

ნარჩენების შეგროვების მოქმედი პრაქტიკა და შეგროვების პუნქტები

შეგროვების მოქმედი პრაქტიკა	შეგროვების პუნქტების რაოდენობა	შეგროვების სიხშირე	მუნიციპალიტეტის მიერ	კონტრაქტორის მიერ
საცხოვრებელ ადგილებთან განლაგებული კონტეინერები				
კარდაკარ შეგროვება				
საზოგადოებრივ ადგილებში განლაგებული კონტეინერები				
დაცული ტერიტორიები და ტყის მასივები				

დაცული ტერიტორიები და ტყის მასივები				
ნარჩენების სეპარაცია წყაროსთან				

**ნარჩენების საერთო ნაკადიდან ამოღებული რეციკლირებული ნარჩენების სავარაუდო რაოდენობა
(მუნიციპალიტეტისა და კონტრაქტორების მიერ) 2014 წლის მდგომარეობით**

რეციკლირებადი ფრაქციები	მუნიციპალიტეტის მიერ ამოღებული - ტონა/წელი		კონტრაქტორის მიერ ამოღებული - ტონა/წელი	
	გაზომილი	სავარაუდო	გაზომილი	სავარაუდო
ქაღალდი/ მუყაო				
პლასტიკი				
მეტალი				
შუშა				

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ინვენტარიზაცია

სატრანსპორტო საშუალება	ნომერი	საშუალო მოცულობა მ ³	სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მდგომარეობის მიხედვით (ქვემოთ იხილეთ შენიშვნა)			სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წლების მიხედვით			
			G	F	B	>10 წელი	5-10 წელი	2-5 წელი	<2 წელი
კომპაქტორები									
თვითმცლელი									
ღია სატვირთო მანქანა თვითმცლელი მექანიზმის გარეშე									
ღია სატვირთო მანქანა ამწე მოწყობილობით									
„კალათა“ანამწე სატვირთო მანქანა									
ქურის სახვეტი მანქანა									
ფეკალური მასების შეგროვების კონტეინერი									
სატვირთო მანქანა შემწოვი სისტემით									
წყლის ავტოციტერნა									
ტრაქტორი									
მანქანა ადმინისტრაციისათვის									
სხვა									

შენიშვნა: G = ძალიან კარგი მდგომარეობა, F = დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, B = ცუდი მდგომარეობა

ბოლო წლებში განხორციელებული შესყიდვების ტიპური ფასი

დანადგარი	რაოდენობა	მოცულობა	შესყიდვის ფასი	შესყიდვის წელი
კომპაქტორები (შეგროვებისათვის)				
თვითმცლელი სატვირთო მანქანა				
ღია სატვირთო მანქანა თვითმცლელი მექანიზმის გარეშე				
„კალათა“ ანამწე სატვირთო მანქანა				
მანქანები სერვისის მონიტორინგისათვის				

შეგროვების სპეციფიკური დანადგარების სია, რომლებიც ამჟამად გამოიყენება მომსახურების გასაწევად

სატრანსპორტო საშუალების სახეობა	რაოდენობა	მოდელი	სიმძლავრე	ასაკი	განხორციელებული რემონტების რიცხვი	შენიშვნები (მდგომარეობა, შეკეთება, პრობლემები...)

ხმარებაში არსებული კონტეინერების ინვენტარიზაცია

კონტეინერის სახეობა	მოცულობა	რაოდენობა	მომწოდებელი წყარო (ადგილობრივი და ა.შ)

განთავსება

ნარჩენების განთავსების არსებული ადგილები

სპეციფიკაცია	განთავსების ადგილი		
	ადგილი 1	ადგილი 2	ადგილი 3
ადგილის დასახელება			
მთლიანი ტერიტორია (ჰა)			

მიუთითეთ წელი, როდესაც დაიწყო ნარჩენების განთავსება			
ფუნქციონირების დარჩენილი სავარაუდო წლები			
ნარჩენების მოცულობა, რომლის განთავსება ყოველდღიურად ხდება (ტონა/დღე)			
იმ მანქანების რაოდენობა, რომლებიც ახდენენ ნარჩენების ტრანსპორტირებას ნაგავსაყრელამდე დღეში/კვირაში/წელიწადში			
მანძილი შეგროვების ადგილიდან ნაგავსაყრელამდე (კმ)			
განთავსების მეთოდი (იხ. ქვემოთ შენიშვნა)			
ცხოველების არსებობა ნაგავსაყრელზე			
ადამიანების არსებობა, რომლებიც ნარჩენებს აგროვებენ			
ადგილზე ხდება ნარჩენების დაწვა			

შენიშვნა: განთავსების მეთოდის აღსანიშნავად გამოიყენეთ შემდეგი აღნიშვნები:

O = ღია ნაგავსაყრელი; C = კონტროლირებადი დამარხვა (დროდადრო მიწის დაფარვა); S = სანიტარიული ნაგავსაყრელი (ყოველდღიურად მიწით დაფარვა); D = ნარჩენების ჩაყრანყლის ობიექტებში (მდინარე და ა.შ.).

ცხრილები: მუნიციპალიტეტისა და კონტრაქტორების მანქანები, რომლებიც ნაგავსაყრელზე გამოიყენება, და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არაოფიციალური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია (თბილისსა და აჭარის რესპუბლიკაში)

მუნიციპალიტეტისა და კონტრაქტორების მანქანები, რომლებიც ნაგავსაყრელზე გამოიყენება

მანქანების სახეობა	რაოდენობა	მანქანების რაოდენობა მდგომარეობის მიხედვით			მანქანების რაოდენობა ასაკის მიხედვით			
		G	F	B	>10 წელი	5-10 წელი	2-5 წელი	<2 წელი
ბულდოზერები								
ჩამჩიანი დამტვირთავი მანქანები								
ექსკავატორები								
მექანიკური ექსკავატორი								
კომპასტორები								
ტრაქტორები								
სხვა								

მუნიციპალიტეტში არსებული არაოფიციალური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია

ადგილმდებარეობა	ნარჩენების საგარაუდო რაოდენობა	მოსახლეობა, რომელსაც ნაგავსაყრელი ემსახურება	გამოყენების წლები	აღწერა ან გარემოზე ზემოქმედება

ფინანსები

შემოსავლების წყაროები

საოპერაციო ფონდის წყაროები	2013		2014		2015
	ბიუჯეტით განსაზღვრული	ფაქტობრივი	ბიუჯეტით განსაზღვრული	ფაქტობრივი	ბიუჯეტით განსაზღვრული
ადგილობრივი ბიუჯეტი					
სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნაციები					

სესხი					
სახელმწიფოს გრანტი					
დონორების გრანტი/დახმარება					
მომხმარებლის საფასურით გენერირებული შემოსავლები					
მომხმარებლის სხვა გადასახდელები					
საურავი/ჭარიმა					
სხვა					
სულ					

ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები

ხარჯები	2013		2014		2015
	ბიუჯეტით განსაზღვრული	ფაქტობრივი	ბიუჯეტით განსაზღვრული	ფაქტობრივი	ბიუჯეტით განსაზღვრული
ხელფასები					
მასალები და მარაგები					

დანადგარი/მანქანა					
სხვა					
სულ: ნარჩენების მართვისათვის					
მთლიანი მუნიციპალური ხარჯების %					

მთლიანი ხარჯები, წარმოდგენილი როგორც შვედეთის ოპერაციის მთლიანი ხარჯები

ხარჯი	ერთეული	წელი: 2012	წელი: 2013	წელი: 2014
ხარჯი შვედეთის ნარჩენების ოდენობის მიხედვით	ლარი/ტონა			
ხარჯი საოჯახო მუდრეობის მიხედვით, რომელსაც მიეწოდება მომსახურება	ლარი/საოჯახო მუდრეობა			
ხარჯი იმ პირების მიხედვით, რომლებსაც მიეწოდება მომსახურება	ლარი/პირი			
ხარჯი მუნიციპალური ნარჩენების მართვაში ჩართული თანამშრომლების მიხედვით	ლარი/თანამშრომელი			

აღამიანური რესურსები

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის მომსახურებაში ჩართული პერსონალი

პერსონალის სახეობა	მუშაობის სფერო						
	A	CT	S	G	FD	O	სულ
ადმინისტრატორი							
ჯანდაცვის სპეციალისტი							
ინსპექტორი							
ინჟინერი							
ტექნიკური ასისტენტი							
ტექნიკოსი							
მექანიკოსი							
ზედამხედველი							
მძღოლი							
შეგროვების მომსახურების მუშახელი							
ქუჩების დასუფთავების მუშახელი							
სხვა							
სულ							

შენიშვნა: A = ადმინისტრაცია/ზედამხედველობა; CT = შეგროვება და ტრანსპორტირება; S = ქუჩების დასუფთავება;
G = ბალახის მოჭრა. იმ შემთხვევაში, თუ ერთიდაიგივე პირი ჩართულია ქუჩების დასუფთავებასა და ბალახის ჭრაში, მიუთითეთ
თანამშრომლების რაოდენობა გრაფა S-ში და გრაფა G-ში. FD = საბოლოო განთავსება; O = სხვა.
იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი პასუხისმგებელია სხვა მოვალეობების შესრულებაზე, გარდა ნარჩენების მართვის მომსახურებისა,
მიუთითეთ ასეთი თანამშრომლების რაოდენობა ფრჩხილებში.

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სისტემაში არსებული პრობლემური სფეროები

ნარჩენების მართვის მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემები				
პრობლემის აღწერა	ძალიან სერიოზული	სერიოზული	ნაკლებად სერიოზული	პრობლემის არარსებობა
მომსახურების არაადეკვატური მიწოდება (მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდებამომსახურება)				
უხარისხო მომსახურება (არასაკმარისი სიხშირით, დაღვრა და ა.შ.)				
არასაკმარისი უფლებამოსილება ფინანსური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მისაღებად				
ფინანსური რესურსების უქონლობა				
ტრენინგ გავლილი თანამშრომლების არარსებობა				
სატრანსპორტო საშუალებების არქონა				
დანადგარების უქონლობა				
ძველი მანქანები/დანადგარები, რომლებიც ხშირად მწყობრიდან გამოდის				
სათადარიგო ნაწილების მოპოვების სირთულე				
მანქანების/დანადგარების მოვლის/გარემონტების შესაძლებლობის არქონა				
არასტანდარტიზებული მანქანები/დანადგარები				

არაეფექტიანი ინსტიტუციური მოწყობა ნარჩენების მართვის მომსახურების სფეროში				
შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობა ქვეყანაში				
აღსრულების ღონისძიებებისა და შესაძლებლობების არარსებობა				
დაგეგმვის არარსებობა (მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი გეგმები)				
სწრაფი ურბანიზაციის ტემპი, რომელიც აჭარბებს მომსახურების განვითარების შესაძლებლობას				
არაკონტროლირებადი პროლიფერაცია მიტოვებულ დასახლებებში				
რთულად ხელმისაწვდომი სოფლები და დასახლებები				
სახელმწიფო უწყებებს შორის სუსტი თანამშრომლობა				
დაბალი დონის თანამშრომლობა საზოგადოებასთან				
დაბალი დონის რეაგირება ნარჩენების მინიმიზაციის კუთხით (მეორადი გამოყენება/გადამუშავება)				
კვალიფიციური კერძო კონტრაქტორების არარსებობა				
კონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურების გაკონტროლებასთან დაკავშირებული სირთულეები				
საშიში ნარჩენების კონტროლის არარსებობა				
ნარჩენების განთავსების არალეგალური ადგილები				

მოსახლეობისა და სხვა დაინტერესებული მხარეების სანივრები				
ბიოდეგრადირებადი ნარჩენების არაადეკვატური მართვა				
რეციკლირებადი ნარჩენების არაადეკვატური მართვა				
ნაგავსაყრელის ემისიების არასათანადო კონტროლი (ფილტრატი/ გაზი)				
კომპოსტირების ემისიების არასათანადო კონტროლი (ფილტრატი/ სუნი)				
სამედიცინო ნარჩენების არასათანადო კონტროლი				
სხვა (მიუთითეთ)				

დანართი 3 – აკრონიმები/აბრევიატურები და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინები

გამოყენებული აკრონიმები და აბრევიატურები

CAPEX	კაპიტალური დანახარჯები
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EU	ევროკავშირი
GHG	სათბურის აირი
GPS	პოზიციონირების გლობალური სისტემა
LLC	შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია
MW	მუნიციპალური ნარჩენები
MWM	მუნიციპალური ნარჩენების მართვა
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OPEX	ოპერაციული დანახარჯები
SMART	სპეციფიკური, გამომვადი, მიღწევადი, რეალისტური, დროზე ორიენტირებული
WM	ნარჩენები მართვა

ტერმინების განმარტება

ნარჩენები	ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს, მოიშოროს, ან ვალდებულია, მოიშოროს.
საყოფაცხოვრებო	საოჯახო მეურნეობის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები.
მუნიციპალური ნარჩენები	საყოფაცხოვრებო ნარჩენები, აგრეთვე სხვა ნარჩენები, რომლებიც თავისი მახასიათებლებისა და შემადგენლობის მიხედვით საყოფაცხოვრებო ნარჩენების მსგავსია.
ბიოდეგრადირებადი ნარჩენები	ნებისმიერი სახის ნარჩენები, რომლებიც ექვემდებარებიან ანაერობულ ან აერობულ დაშლას, მათ შორის, სურსათის/ ცხოველის საკვების ნარჩენები, ბაღების/ პარკების ნარჩენები, ქაღალდი და მუყაო.
სახიფათო ნარჩენები	ნარჩენები, რომლებიც სახიფათო ან პოტენციურად მავნეა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან გარემოსათვის (სახიფათო ნარჩენების სია მოცემულია საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – მესამე დანართში).
სამედიცინო ნარჩენები	ნებისმიერი ნარჩენი, რომელიც სამედიცინო დაწესებულებების, სამედიცინო ლაბორატორიების, სამედიცინო კვლევითი ცენტრების, მზრუნველობის დაწესებულებების, ვეტერინარული კლინიკების, ფარმაცევტული საწარმოებისა და საწყობების მიერ არის წარმოქმნილი.
ცხოველური ნარჩენები	ცხოველებთან დაკავშირებული ნარჩენები (ცხოველების სხეულები, ცხოველების სხეულის ნაწილები, ნაკელი, ხორცის წარმოების ნარჩენები, ცხოველებზე ცდების ჩატარების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები და სხვ.).

პრევენცია

ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე მიღებული ზომები, რაც ამცირებს: ა) ნარჩენების რაოდენობას (მაგალითად, პროდუქტის ხელახალი გამოყენების გზით ან პროდუქტის ვარგისიანობის ვადის გაგრძელების გზით); ბ) წარმოქმნილი ნარჩენების უარყოფით გავლენას გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე; გ) მასალებსა და პროდუქტში მავნე ნივთიერებების შემცველობას.

ხელახალი გამოყენება

პროდუქტის ან/და მისი კომპონენტების ხელახლა გამოყენება მათი თავდაპირველი დანიშნულებით ნარჩენად გადაქცევამდე.

აღდგენა

საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების გამოყენება სასარგებლო მიზნებისათვის იმ მასალების ჩანაცვლების გზით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული. აღდგენა მოიცავს ენერჯის აღდგენასა და რეციკლირებას (აღდგენის ოპერაციების სია მოცემულია საქართველოს კანონის – “ნარჩენების მართვის კოდექსი” – პირველ დანართში).

რეციკლირება

აღდგენითი ღონისძიება, რომლის

საშუალებითაც ნარჩენები გარდაიქმნება პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად, რომლებიც განკუთვნილია თავდაპირველი ან სხვა მიზნით გამოყენებისათვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენასა და ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც გამოიყენება სანვაგად ან ამოვსების ოპერაციებისათვის.

რეციკლირებადი მასალები

გავრცელებული რეციკლირებადი მასალებია შუშა, ქაღალდი, მუყაო, მეტალი,

პლასტიკა, ქსოვილი, საკვების ნარჩენები, ბალის ნარჩენები და ელექტრონული მოწყობილობები.

ნარჩენების შეგროვება ნარჩენების შეგროვება, რაც ასევე გულისხმობს მათ წინასწარ დახარისხებასა და წინასწარ დასაწყობებას ნარჩენების დამუშავების ობიექტზე გადატანის მიზნით.

საპარირებელი შეგროვება ნარჩენების შეგროვება, რომლის დროსაც ნარჩენების ნაკადები განცალკევებულია სახეობებისა და თვისებების მიხედვით, მათი შემდგომი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით.

ნარჩენების ტრანსპორტირება ნარჩენების გადატანა ნარჩენების შენახვის ან/და დამუშავების ობიექტზე.

ნარჩენების გადამტვირთვა სადგური ობიექტი, სადაც ხორციელდება ნარჩენების გადატვირთვა ნარჩენების დამუშავების ობიექტზე შემდგომი ტრანსპორტირების მიზნით.

სანიტარიული ნაგავსაყრელი მუნიციპალური ნარჩენების კონტროლირებადი განთავსება მიწაში, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერ პოტენციურ ნეგატიურ ემისიებს ზედაპირულ წყლებში, მიწისქვეშა წყლებში, ნიადაგში ან ჰაერში.

დანაგვიანება ნარჩენების გარემოში დაყრა, გადაგდება და/ან მითოვება, გარდა ამ მიზნისათვის გამოყოფილი კონტეინერებისა და შეგროვების ობიექტებისა.

დაინტერესებული ნაგავსაყრელი პირი, ჯგუფი, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელსაც პირდაპირი ან არაპირდაპირი კავშირი აქვს ქმედებასთან ან პროექტთან, ან რომელსაც აქვს შესაძლებლობა, დადებითი ან ნეგატიური გავლენა მოახდინოს ქმედებაზე ან პროექტზე.

გადახდის მზაობა

მაქსიმალური საფასური, რომელიც პირმა შეიძლება გაიღოს კარგი შედეგის მისაღებად ან არასასურველი შედეგის თავიდან ასარიდებლად.

ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR) – 4-წლიანი პროგრამა დაიწყო 2014 წლის 18 მარტს. მას ფინანსურ მხარდაჭერას უწევს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს International City/County Management Association (ICMA), CENN-თან ერთად, რომელიც ინიციატივის ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციაა.

პროექტი ხელს უწყობს საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს ნარჩენების მართვის მართებული სისტემის ჩამოყალიბებაში საქართველოს ორ სამიზნე რეგიონში – ვახეთსა და აჭარაში. ინიციატივის მიზანია, შერჩეულ მუნიციპალიტეტებში განხორციელდეს პილოტური ღონისძიებები ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ნარჩენების მავნე ზემოქმედებისა და ნაგავსაყრელებიდან სათბური აირების შესამცირებლად.

ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რეგიონებში (WMTR)
ორპირის ქუჩა N 2,
0105, თბილისი
საქართველო
+995 32 2 43 45 22/23/24
editor@wmtr-georgia.org